# სს ბანკი ქართუ

## პილარ 3-ის წლიური ანგარიში

(2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)

2023 წელი

სარჩევი


1. შესავალი ... 3

2. მენეჯმენტის განცხადება ... 3

3. ბანკის ძირითადი მაჩვენებლები ... 4

3.1: კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები ... 4

3.2: ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი ... 4

3.3: წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი ... 4

4. ბანკის ჯგუფის სტრუქტურა ... 5

5. კაპიტალის სტრუქტურა ... 6

6. კაპიტალის ადეკვატურობა ... 7

6.1: რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები ... 7

6.3: საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიცია ... 9

7. ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი ... 10

8. აქციონერებთან დაკავშირებული საკითხები ... 11

9. კორპორაციული მართვა ... 11

9.1: სამეთვალყურეო საბჭო ... 11

9.2: დირექტორატი ... 15

9.3: აუდიტის კომიტეტი ... 19

9.4: რისკების კომიტეტი ... 20

9.5: საკრედიტო კომიტეტი ... 21

9.6: მცირე საკრედიტო კომიტეტი ... 21

9.7: აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი ... 22

9.8: ბიზნეს პროცესების მართვის კომიტეტი ... 23

10. რისკების მართვა ... 24

10.1: კორპორატიული სტრატეგია ... 24

10.2: რისკების მართვის ჩარჩო ... 24

10.3: საკრედიტო რისკების მართვა ... 28

10.4: საპროცენტო რისკის მართვა ... 30

10.5: სავალუტო რისკის მართვა ... 31

10.6: ლიკვიდობის რისკის მართვა ... 31

10.6: საოპერაციო რისკის მართვა ... 31

11. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) რისკების მართვა ... 33

12. მნიშვნელოვანი სიახლეები ... 36

13. ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია ... 36

## 1. შესავალი

პილარ 3-ის წლიური ანგარიშგება წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც ეფუძნება ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის პილარ 3-ის გამჭვირვალობის მოთხოვნებს, ევროკავშირის 575/2013 დირექტივის მოთხოვნებსა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებას „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“.

დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას ბანკის კაპიტალის არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის, რისკების მართვის პოლიტიკის, სტრატეგიისა და კორპორაციული მართვის მოდელის შესახებ.

პილარ 3-ის წლიური ანგარიშგება ქვეყნდება ყოველწლიურად. დოკუმენტი ხელმისაწვდომი არის ბანკისა და ეროვნული ბანკის ვებ-გვერდებზე როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე.

## 2. მენეჯმენტის განცხადება

ბანკის დირექტორატი ადასტურებს მოცემულ პილარ 3-ის ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ანგარიშგება მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით, წინამდებარე ანგარიშგება აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის ივნისის N92/04 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის“ მოთხოვნებსა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ სხვა წესებსა და ნორმებს. რეგულაციის თანახმად, არ არის სავალდებულო პილარ 3-ის ფარგლებში გამოქვეყნებული ინფორმაციის აუდიტი.

## 3. ბანკის ძირითადი მაჩვენებლები

ძირითადი მაჩვენებლების ცხრილში მოცემულია ინფორმაცია ბანკის კაპიტალთან დაკავშირებული საზედამხედველო მოთხოვნების და ლიკვიდობის შესახებ. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია შესაბამის მითითებულ თავში.

### 3.1: კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები

| თანხები მოცემულია 1,000 ლარში | 31.12.2022 | 31.12.2021 |
|---|---|---|
| ძირითადი პირველადი კაპიტალი | 234,253 | 189,240 |
| დამატებითი პირველადი კაპიტალი | 72,954 | 83,635 |
| მეორადი კაპიტალი | 39,328 | 49,523 |
| სულ საზედამხედველო კაპიტალი | 346,536 | 322,398 |
| | | |
| რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები | 1,404,710 | 1,299,144 |
| | | |
| მიმდინარე კოეფიციენტები | | |
| ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი | 16.68% | 14.57% |
| პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი | 21.87% | 21.00% |
| საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი | 24.67% | 24.82% |

### 3.2: ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი

| თანხები მოცემულია 1,000 ლარში | 31.12.2022 | 31.12.2021 |
|---|---|---|
| მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები (სულ) | 729,589 | 341,714 |
| ფულის წმინდა გადინება (სულ) | 437,351 | 186,392 |
| ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (%) | 167% | 183% |

### 3.3: წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი

| თანხები მოცემულია 1,000 ლარში | 31.12.2022 | 31.12.2021 |
|---|---|---|
| ხელმისაწვდომი სტაბილური დაფინანსება | 1,108,500 | 899,894 |
| სტაბილური დაფინანსების საჭიროება | 596,084 | 727,034 |
| წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი | 186% | 124% |

ბანკის სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური კოეფიციენტები დანართის სახით მოცემულია 2022 წლის მეოთხე კვარტლის კვარტალური გამჟღავნების ფორმის გვერდზე „ძირითადი მაჩვენებლები“.

## 4. ბანკის ჯგუფის სტრუქტურა

ბანკის ბენეფიციარი მფლობელი არის უტა ივანიშვილი. ჯგუფის სტრუქტურა მოცემულია შემდეგი სქემატური ილუსტრაციის სახით.




**სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“** - კომპანია დაფუძნდა 2001 წელს და ფლობს როგორც სიცოცხლის, ისე არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას. ინფორმაცია კომპანიის შესახებ მოცემულია შემდეგ ბმულზე: https://cartuinsurance.wixsite.com/cartuinsurance; http://insurance.gov.ge/Statistics.aspx

**შპს „ქართუ ბროკერი“** – კომპანია დაფუძნდა 2001 წელს და არის საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველის, მიერ ლიცენზირებული ბროკერი. კომპანიის შესახებ ინფორმაცია მოცემულია შემდეგ ბმულზე: http://gse.ge/broker-companies/cartubroker

**შპს „საინვესტიციო კომპანია ქართუ ინვესტი“** - კომპანია დაფუძნდა 1999 წელს. კომპანია დაფუძნების დღიდან არანაირ საქმიანობას არ ეწევა.

**შპს „ჯეოპლასტი“** - ბანკმა კომპანია დააფუძნა 2017 წელს, დასაკუთრებული ქონებების ეფექტურად განკარგვის მიზნით. მიმდინარე ეტაპზე ბანკს არ აქვს განხორციელებული რაიმე სახის ინვესტიცია კომპანიაში.

**გაერთიანებული კლირინგ ცენტრი** - კომპანია ფლობს მსხვილ ონლაინ პორტალ MYPAY.GE-ს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ტიპის გადახდები პლასტიკური ბარათების გამოყენებით. ინფორმაცია კომპანიის შესახებ მოცემულია შემდეგ ბმულზე: https://www.mypay.ge/Payments/main

**საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი** - კომპანია 1999 წლიდან არის GCSD სისტემის ოპერატორი. აღნიშნული სისტემის ძირითადი მიზანია მისი მონაწილეების მფლობელობაში მყოფი ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობა, კლირინგისა და ანგარიშსწორების უზრუნველყოფა, გარდა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებისა. GCSD არის 4 კომერციული ბანკისა და საქართველოს საფონდო ბირჟის მფლობელობაში. http://www.gcsd.ge/

**სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“ (UFC)** - პირველი ბანკთაშორისი საპროცესინგო ცენტრი დაარსდა 1996 წლის იანვარს. დღეისათვის საპროცესინგო ცენტრი ემსახურება რვა ბანკს, შვიდ

ფინანსურ ორგანიზაციას და ორ კომპანიას. იგი უზრუნველყოფს სრულ საბარათე მომსახურებას VISA International, MasterCard Worldwide და China UnionPay-ის საერთაშორისო რეგულაციებისა და PCI (Payment Card Industry)-ის მონაცემთა უსაფრთხოების სტანდარტების მიხედვით. http://www.ufc.ge/index.php?lang=geo

## 5. კაპიტალის სტრუქტურა

| ძირითადი პირველადი კაპიტალი (1,000 ლარი) | 31.12.2022 | 31.12.2021 |
|---|---|---|
| ჩვეულებრივი აქციები | 114,430 | 114,430 |
| სხვა რეზერვები * | 7,438 | 7,438 |
| გაუნაწილებელი მოგება (ზარალი) | 117,794 | 71,408 |
| არამატერიალური აქტივები (მათ შორის გუდვილი) | (5,440) | (3,903) |
| გადავადებული საგადასახადო აქტივები | - | - |
| აქტივების გადაფასების რეზერვი | 31 | 133 |
| **ძირითადი პირველადი კაპიტალი** | **234,253** | **189,240** |

| დამატებითი პირველადი კაპიტალი (1,000 ლარი) | 31.12.2022 | 31.12.2021 |
|---|---|---|
| დამატებითი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტები | 72,954 | 83,635 |
| **დამატებითი პირველადი კაპიტალი** | **72,954** | **83,635** |

| მეორადი კაპიტალი (1,000 ლარი) | 31.12.2022 | 31.12.2021 |
|---|---|---|
| სუბორდინირებული სესხი | 28,641 | 37,171 |
| რეზერვები ** | 10,687 | 12,351 |
| **სულ მეორადი კაპიტალი** | **39,328** | **49,523** |
| | | |
| **სულ საზედამხედველო კაპიტალი** | **346,536** | **322,398** |

* ბანკის სარეზერვო და მიზნობრივი ფონდის ფორმირება ხდებოდა წლის გაუნაწილებელი მოგებიდან და მიზანს წარმოადგენდა ბანკის ოპერაციებიდან წარმოქმნილი შესაძლო ზარალის დაფარვა, საჭიროების შემთხვევაში.

** ეროვნული ბანკის რეგულაციის თანახმად, სტანდარტულ სესხებზე შექმნილი საერთო რეზერვები გაითვალისწინება მეორად კაპიტალში, საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების მაქსიმუმ 1.25%–ის ოდენობით.

## 6. კაპიტალის ადეკვატურობა

### 6.1: რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები

| 1,000 ლარი | 31.12.2022 | 31.12.2021 |
|---|---|---|
| საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები | 1,257,003 | 1,161,154 |
| საბაზრო რისკის მიხედვით  შეწონილი რისკის პოზიციები | 29,901 | 32,704 |
| საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები | 117,805 | 105,286 |
| **სულ** | **1,404,710** | **1,299,144** |

## 6.2: საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები

| თარიღი: 31.12.2022<br>თანხები მოცემულია 1,000 ლარში | საბალანსო ღირებულება | რისკის პოზიციების ღირებულება | რისკის წონა | | | | | | საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 0% | 20% | 50% | 100% | 150% | 250% | მიტიგაციამდე | მიტიგაცია | მიტიგაციის შემდეგ |
| **საბალანსო ელემენტები** | | | | | | | | | | | |
| მოთხოვნები ცენტრალური მთავრობებისა და ცენტრალური ბანკების მიმართ | 359,363 | 359,332 | 37,319 | - | - | 322,013 | - | - | 322,013 | - | 322,013 |
| მოთხოვნები კომერციული ბანკების მიმართ | 332,179 | 332,179 | - | 89,675 | 242,371 | 133 | - | - | 139,253 | - | 139,253 |
| მოთხოვნები კორპორატიული კლიენტების მიმართ | 608,356 | 617,859 | - | - | - | 617,859 | - | - | 617,859 | 41,533 | 576,326 |
| ვადაგადაცილებული სესხები | 68,624 | 68,625 | - | - | - | 68,625 | - | - | 68,625 | - | 68,625 |
| ძირითადი საშუალებები * | 22,427 | 16,987 | 1,579 | - | - | 15,408 | - | - | 15,408 | - | 15,408 |
| ფული და მისი ექვივალენტები კომერციულ ბანკებში | 27,978 | 27,978 | 27,978 | - | - | - | - | - | - | - | - |
| მნიშვნელოვანი ინვესტიციები საფინანსო ინსტიტუტებში და საგადასახადო აქტივი | 21,250 | 21,250 | - | - | - | - | - | 21,250 | 53,126 | - | 53,126 |
| სხვა ინვესტიციები საფინანსო ინსტიტუტებში | 63 | 64 | - | - | - | 64 | - | - | 64 | - | 64 |
| სხვა აქტივები ** | 48,954 | 49,236 | - | - | - | 48,368 | - | 867 | 50,537 | 2,403 | 48,133 |
| სულ საბალანსო ელემენტები | 1,489,193 | 1,493,509 | 66,875 | 89,675 | 242,371 | 1,072,470 | - | 22,118 | 1,266,885 | 43,936 | 1,222,949 |
| | | | | | | | | | | | |
| **გარესაბალანსო ელემენტები** | | | | | | | | | | | |
| კრედიტის მახასიათებლების მქონე გარანტიები | 4,930 | 4,930 | - | - | - | 4,930 | - | - | 4,930 | 51 | 4,879 |
| არასაკრედიტო მახასიათებლების მქონე გარანტიები | 45,076 | 22,538 | - | - | - | 22,538 | - | - | 22,538 | 4,061 | 18,477 |
| აუთვისებელი საკრედიტო ინსტრუმენტები *** | 31,665 | 15,832 | - | - | - | 15,832 | - | - | 15,832 | 466 | 15,366 |
| სულ გარესაბალანსო ელემენტები | 81,671 | 43,300 | - | - | - | 43,300 | - | - | 43,300 | 4,578 | 38,722 |
| | | | | | | | | | | | |
| **სულ** | **1,570,864** | **1,536,810** | **66,875** | **89,675** | **242,371** | **1,115,771** | **-** | **22,118** | **1,310,185** | **48,514** | **1,261,671** |

* ძირითადი საშუალებების, საბალანსო და რისკის პოზიციას შორის სხვაობა გამოწვეულია არამატერიალური აქტივებით, რომელიც, თავის მხრივ, სრულად იქვითება საზედამხედველო კაპიტალიდან.

** აღნიშნულ მუხლში შედის რისკის პოზიციები ფიზიკური პირების მიმართ, გირაოში დასაკუთრებული ქონება და სხვა მოთხოვნები.

*** რისკის პოზიციაში გაითვალისწინება სესხის გაცემის ვალდებულების საბალანსო ღირებულების 50%.

რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების დათვლის მიზნით, მიტიგაციის საშუალებად ბანკი იყენებს მხოლოდ სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებულ ფულად სახსრებს ან ფულთან გათანაბრებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს.

### 6.3: საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიცია

საბაზრო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებული რისკის პოზიცია უდრის „კომერციული ბანკების საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დადგენის, გაანგარიშებისა და დაცვის წესით“ განსაზღვრულ კრებსით საერთო ღია სავალუტო პოზიციას.

### 6.4: საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები

| 1,000 ლარი | 2022 | 2021 | 2020 |
|---|---|---|---|
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | 67,406 | 48,959 | 40,963 |
| მოგება (ზარალი) ქონების გაყიდვიდან | 11 | 13 | 6 |
| მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლები | 9,531 | 11,305 | 10,356 |
| მთლიანი შემოსავალი | **76,926** | **60,251** | **51,312** |
| მთლიანი შემოსავლის საშუალო ბოლო 3 წლის | 62,830 | 56,153 | 53,441 |
| საოპერაციო რისკების კაპიტალი (15.00%) | 9,424 | 8,423 | 8,016 |
| **საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები** | **117,805** | **105,286** | **100,203** |

## 7. ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი

| ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (სებ-ის მეთოდოლოგიით) | | | |
|---|---|---|---|
| 31.12.2022 (1,000 ლარი) | ლარი | უცხ. ვალუტა | სულ |
| მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები (სულ) | 76,180 | 653,409 | 729,589 |
| ფულის წმინდა გადინება (სულ) | 29,655 | 407,696 | 437,351 |
| **ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (%)** | **256.9%** | **160.3%** | **166.8%** |
| **მინიმალური მოთხოვნა** | **>75%** | **>100%** | **>100%** |

ბანკის სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური კოეფიციენტები დანართის სახით მოცემულია 2022 წლის მეოთხე კვარტლის კვარტალური გამჟღავნების ფორმის გვერდზე „ძირითადი მაჩვენებლები“. (იხ. ბმულზე: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=672)

| ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (ბაზელის მეთოდოლოგიით) | | | |
|---|---|---|---|
| 31.12.2022 (1,000 ლარი) | ლარი | უცხ. ვალუტა | სულ |
| მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები (სულ) | 51,222 | 273,326 | 324,549 |
| ფულის წმინდა გადინება (სულ) | 7,905 | 38,370 | 46,275 |
| **ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (%)** | **648.0%** | **712.3%** | **701.3%** |

სებ-ის მეთოდოლოგიით გაანგარიშებული კოეფიციენტები ბანკისთვის წარმოადგენს სავალდებულოდ დასაცავ მოთხოვნას, ხოლო ბაზელის მეთოდოლოგიით დათვლილი მონაცემები წარმოდგენილია საილუსტრაციო მიზნებისათვის. დეტალური ინფორმაცია მოცემულია კვარტალურ დანართში გვერდზე 14.LCR.

## 8. აქციონერებთან დაკავშირებული საკითხები

ბანკის აქციონერის და აქციონერთა კრების უფლებები რეგულირდება წესდების საფუძველზე. ბანკის აქციონერი უფლებამოსილია: შეცვალოს ბანკის წესდება, საფირმო სახელწოდება, აირჩიოს და გამოიწვიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, დაამტკიცოს ბანკის წლიური ანგარიშგება, ფინანსური შედეგები, დაამტკიცოს აუდიტის კომიტეტის დასკვნა. კრებას უფლება აქვს მიიღოს ბანკის რეორგანიზაციასა ან ლიკვიდაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება.

წესდების მიხედვით, აქციონერთა კრება მოიწვევა ყოველწლიურად, როგორც წესი, საანგარიშგებო წლის დაწყებიდან ორი თვის ვადაში. ვინაიდან ბანკს ყავს მხოლოდ ერთი აქციონერი, კრების მოწვევა არ ხდება და აქციონერი საჭიროებიდან გამომდინარე ღებულობს ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას.

## 9. კორპორაციული მართვა

### 9.1: სამეთვალყურეო საბჭო

სს „ბანკი ქართუს“ სამეთვალყურეო საბჭო შედგება ოთხი წევრისგან. საბჭო შემდეგნაირად არის დაკომპლექტებული:

1. ნიკოლოზ ჩხეტიანი - თავმჯდომარე
2. ბესიკ დემეტრაშვილი - წევრი
3. თეა ჯოხაძე - წევრი
4. ზაზა ვერძეული - დამოუკიდებელი წევრი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ნიკოლოზ ჩხეტიანს, 2001 წელს დამთავრებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახემწიფო უნივერსიტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით, ხოლო 2002 წელს მიენიჭა ბრემენის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი სამართალმცოდნეობაში. 2012 წლიდან დღემდე არის ა(ა)იპ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუს“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე. 2007-2012 წლებში ა(ა)იპ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუს“ იურისტი. 2008-2014 წლებში იყო სს „ქართუ ჯგუფის“ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, 2007-2008 წლებში ამავე კომპანიის იურიდიული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, ხოლო 2006-2007 წლებში სს „ქართუ ჯგუფის“ იურისტი. 2004-2006 წლებში იყო იურიდიული კომპანია „გაბისონია და პარტნიორების“ იურისტი. 2002-2004 წლებში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრის უფროსი სპეციალისტი.

ბესიკ დემეტრაშვილს დამთავრებული აქვს ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 2012 წლიდან დღემდე არის შპს „მენეჯმენტ სერვისის“ და შპს „ქართულ ფრანგული სკოლის“ დირექტორი. 2014 წლიდან დღემდე არის შპს „აგრო ქართუს“ დირექტორი, ხოლო 2015 წლიდან დღემდე შპს „რივიერა XXI“-ს და სს „დიდველის“ დირექტორი. 2008 წლიდან დღემდე არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ხოლო 2013 წლიდან დღემდე შპს „ფინსერვისი XXI“-ს იურიდიული მრჩეველი. 2005-2006 წლებში იყო შპს „ბურჯის“ და ა(ა)იპ ასოციაცია „ატუს“-ს იურიდუული სამსახურის უფროსი. 2002-2006 წლებში იყო შპს „რეესტრი XXI“-ს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი. 1999-2000 წლებში იყო თბილისის საკრებულოს იურისტი. 1998-1999 წლებში იყო არასამთავრობო ორგანიაზია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ იურისტი.

თეა ჯოხაძე, CFA ფლობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ მინიჭებულ ბაკალავრის ხარისხს საერთაშორისო ეკონომიკაში. მოგვიანებით, 1998 წელს მიიღო ხარისხი კოპენჰაგენის უნივერსიტეტში, პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტში. საერთაშორისო ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი მიენიჭა ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტში, უმაღლეს საერთაშორისო კვლევათა სკოლაში. თეა ჯოხაძე 2019 წელს დაინიშნა სს „ბანკი ქართუს“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრად. 2019 წლიდან ქალბატონი ჯოხაძე იკავებს „საქართველოს თანაინვესტირების ფონდის“ გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობას. 2014-2019 წლებში იყო ამავე ფონდის მმართველი დირექტორი, 2013-2014 წლებში კი, იკავებდა ფინანსური დირექტორის პოზიციას. 2005-2013 წლებში ხელმძღვანელობდა სს „საქართველოს ბანკის“ ფინანსური სახსრების მოზიდვისა და სასესხო კაპიტალის ბაზრების სამსახურს. ქალბატონი ჯოხაძის პროფესიული გამოცდილება საქართველოს გარდა უკავშირდება ამერიკის შეერთებულ შტატებს. ის იკავებდა ფინანსური საკონსულტაციო სერვისების უფროსი კონსულტანტის პოზიციას Pace Global Energy Services, LLC-ში. სხვადასხვა დროს ასრულებდა ფინანსური სტრუქტურების და ფასწარმოქმნის ანალიტიკოსისა და გაზისა და ელექტროენერგიის ეკონომიკური ანალიტიკოსის მოვალეობებს CMS Energy Corp.m Marketing, Services & Trading-ში ტეხასში; იყო ასისტენტი პროგრამის ოფიცერი „დემოკრატიისა და არჩევნების მხარდაჭერის საერთაშორისო ინსტიტუტში“, შვედეთში, ასევე ინფორმაციის ოფიცერი „გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა კოორდინაციის ოფისში“ საქართველოში, მკვლევარი „ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაში“ დანიაში და პროგრამის ანალიტიკოსი „გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოს ოფისში“.

ზაზა ვერძეულმა ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხი ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის მიმართულებით მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2019 წელს, ბატონი ვერძეული დაინიშნა სს „ბანკი ქართუს“ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად. 2007-2019 წლებში ის იკავებდა სს „ზირაათ ბანკი საქართველოს“ რისკების მართვის განყოფილების უფროსისა და დირექტორის მოადგილის თანამდებობას. 2006 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საცალო ბიზნესის დეპარტამენტს სს „სილქ-როუდ ბანკში“. 1999-2004 წლებში ბატონი ვერძეული ხელმძღვანელობდა საკორესპონდენტო ურთიერთობებსა და ანგარიშსწორებების დირექციას სს „საქართველოს საფოსტო ბანკში“. მისი კარიერის დასაწყისი კი უკავშირდება სს „კავკასიის ბანკს“ საქართველოში და სს „ბანკ ლიუტვის“ რუსეთში, სადაც ის იკავებდა ბუღალტრის პოზიციას.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უფლებამოსილება განისაზღვრება 4 წლის ვადით. სამეთვალყურეო საბჭოს წამყვანი როლი უჭირავს ბანკის მმართველობაში, შესაბამისად ეს ორგანო აქტიურად არის ჩართული მიმდინარე პროცესების დაგეგმვასა და მონიტორინგში.

საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება:

- ბანკის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების და სტრატეგიული განვითარების გეგმის განხილვა და დამტკიცება;
- აქციონერთა საერთო კრების მოწვევა, სააღრიცხვო დღისა და დღის წესრიგის განსაზღვრა;
- გენერალური დირექტორის და დირექტორატის სხვა წევრების (დირექტორები) დანიშვნა, მათ საქმიანობაზე ზედამხედველობა, მათი უფლებამოსილების შეზღუდვა/შეწყვეტა. შრომის ანაზღაურების პირობების განსაზღვრა, მათთან სასამსახურო (დავალების) ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა;
- დირექტორატის (და მისი ყოველი წევრის) საქმიანობაზე კონტროლოს განხორციელება;
- აქციონერთა საერთო კრებისათვის დასამტკიცებლად იმ პირის (კანდიდატის) წარდგენა, რომელმაც უნდა განახორციელოს ბანკის გარე აუდიტორული შემოწმება;

- სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებული კომიტეტების, მათ შორის აუდიტის კომიტეტის, რისკების კომიტეტის შექმნა, მათი რაოდენობრივი და პერსონალური შემადგენლობის, წევრთა უფლებამოსილების ვადისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრა. ასევე ამ კომიტეტთა დებულებათა დამტკიცება;
- ბანკის გაჯანსაღების გეგმის განხილვა, შეფასება და დამტკიცება;
- პილარ 3-ის ანგარიშგების პროცესის, მათ შორის ESG საკითხების მონიტორინგი და წლიური პილარ 3-ის ანგარიშგების დამტკიცება;
- ბანკის ESG რისკების მართვის პოლიტიკის დამტკიცება;

კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 სექტემბრის #215/04 ბრძანების შესაბამისად, ბანკის სამეთვალყურეო საბჭო ყოველწლიურად ახორციელებს საკუთარი საქმიანობის თვითშეფასებას. ამასთანავე, ბანკმა 2022 წლის მდგომარეობით სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის შეფასება უზრუნველყო გარე შემფასებლის მიერ.

დამოუკიდებელი საკონსულტაციო კომპანიია Moore-ის მიერ განხორციელდა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს და კომიტეტების საქმიანობის შეფასება 2022 წლის პერიოდზე. შეფასების დროს Moore-მა გამოიყენა საბჭოს ეფექტიანობისა და კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის დასადგენად სხვადასხვა მექანიზმი, მათ შორის: საბჭოს და კომიტეტების წევრების თვითშეფასება, ინტერვიუები, მოწოდებული დოკუმენტაციის ანალიზი და სხვა.

შეფასების მიზანი იყო ისეთი საკითხების გამოვლენა, რაც საბჭოს და/ან მისი წევრების მხრიდან საჭიროებს გაუმჯობესებას. ასევე არსებული ვითარების და სამომავლო გეგმების საბჭოს წევრების მიერ გაცნობიერება.

შეფასების შედეგების მიხედვით დადგენილი იქნა, რომ საბჭო ერთობლივად და საბჭოს ცალკეული წევრებს კარგად აქვთ გაცნობიერებული თავიანთი უფლება-მოვალეობები, ბანკის მისია და ხედვა, ისევე როგორც მომავალი განვითარების სტრატეგია. საბჭოს წევრებს აქვთ საკმარისი ინფორმაცია და ცოდნა როგორც რეგულაციური ჩარჩოს შესახებ, ისე კორპორაციული მართვის სტანდარტების და საუკეთესო პრაქტიკის შესახებ.

საბჭოს წევრების კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს, ბანკის საჭიროებებს და კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნებს. საბჭოს გააჩნია აუდიტის და რისკების კომიტეტები. საბჭოს და კომიტეტების შემადგენლობა საანგარიშო პერიოდში შეესაბამებოდა კოდექსით და საუკეთესო პრაქტიკით დადგენილ მოთხოვნებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წლის 7 დეკემბრიდან საბჭოს და კომიტეტის შემადგენლობაში გაჩენილია ვაკანსია, რომელიც საჭიროებს შევსებას გონივრულად მოკლე ვადაში.

შეფასების შედეგებიდან გამომდინარე დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ დადგენილი იქნა, რომ საბჭოს წევრებს აქვთ უნარი:

- ნათლად განსაზღვრონ მათი საქმიანობის პრიორიტეტები და მოლოდინები. ამ მიზნით საბჭოს შემუშავებული აქვს შესაბამისი პოლიტიკები და შიდა რეგულაციები, სახელმძღვანელო დოკუმენტები და პროცედურები;
- სათანადოდ გაანალიზოს და დაამუშავოს მიღებული ინფორმაცია. ეფექტიანად განახორციელოს მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მონიტორინგი და დირექტორატის კონტროლი განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში;

- ჰქონდეს და შეინარჩუნოს საქმიანი და ნაყოფიერი ურთიერთობა ბანკის მენეჯმენტთან კონტროლის და მონიტორინგის ფუნქციების განხორციელების დაუზიანებლად. დროულად და სათანადო ფორმით მიიღოს მოთხოვნილი ინფორმაცია;
- კონტროლი გაუწიოს ბანკის ანგარიშგების პროცესს, შესაბამისი კომიტეტების მეშვეობით დაგეგმოს და წარმართოს ანგარიშგების პროცესი, მართოს რისკები;
- გაიგოს და კრიტიკულად შეაფასოს ინფორმაცია ბანკის საქმიანობის შესახებ, მოითხოვოს მენეჯმენტისგან ანგარიშვალდებულება და აქვს მტკიცებულებებით განმტკიცებული რწმენა რომ მენეჯმენტი ასრულებს საბჭოს მიერ დასახულ ამოცანებს პრიორიტეტების შესაბამისად.

საბჭოს ძლიერ მხარეებს შორის გამოიკვეთა წევრების მიერ საერთო ღირებულებების გაზიარება, მათი აქტიური ჩართულობა ბანკის საქმიანობაში თავისი კომპეტენციის ფარგლებში და უნარი კრიტიკულად და ნათლად შეაფასონ ბანკის წინაშე არსებული გამოწვევები, ისევ როგორც ხედვა სამომავლო განვითარებასთან და პრიორიტეტულ მიმართულებებთან დაკავშირებით.

შეფასების დროს გამოიკვეთა საბჭოს წევრების აქტიური ჩართულობა საბჭოს საქმიანობაში და კრებებში. მიუხედავად პანდემიური ვითარებით გამოწვეული დისტანციური ურთიერთობებისა, საბჭოს წევრები აქტიურად იყვნენ ჩართული განსახილველ საკითხებში. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა ხდებოდა ღია, არაფორმალური და უშუალო დისკუსიის ფორმატში, რაც უზრუნველყოფდა საკითხის დეტალურ და ყოველმხრივ განხილვას.

შეფასების შედეგების მიხედვით გამოვლინდა საბჭოს წევრების და მენეჯმენტის ურთიერთქმედების მაღალი დონე, რაც უზრუნველყოფილი იყო მაღალი სამუშაო კულტურით და ბანკის მიზნების ნათლად გაცნობიერებით. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი ხორციელდებოდა უფლებამოსილების აღრევის ან კონტროლისა და მონიტორინგის ფუნქციის დაზიანების გარეშე.

შეფასების შედეგად Moore-ს მიერ ბაკის სამეთვალყურეო საბჭოს და კომიტეტების საქმიანობა შეფასდა დადებითად. მიჩნეულ იქნა, რომ საბჭოს საქმიანობა შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან, მოქმედ რეგულაციებთან და კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკასთან

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ საბჭოს საქმიანობა შესაძლოა გაუმჯობესებული იქნას საბჭოს წევრებისთვის პერიოდული ტრენინგების და განვითარების ღონისძიებების დაგეგმვით მათი კვალიფიკაციისა და საჭიროებების გათვალისწინებით. ამასთანავე რეკომენდირებულია მეტი ყურადღება მიექცეს პროცესების ფორმალიზაციისა და დოკუმენტირების პროცესებს ინსტიტუციონალური მეხსიერების და მემკვიდრეობითობის გაუმჯობესების მიზნით.

## 9.2: დირექტორატი

დირექტორატი ბანკის აღმასრულებელი ორგანოა და მისი უფლებამოსილების ვადა 4 წლით განისაზღვრება. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის დირექტორატი შემდეგნაირად იყო დაკომპლექტებული:

1. ნატო ხაინდრავა - გენერალური დირექტორი;
2. გრიგოლ კაცია - გენერალური დირექტორის მოადგილე;
3. გივი ლებანიძე - ფინანსური დირექტორი;
4. ბექა კვარაცხელია - რისკების დირექტორი;
5. ზურაბ გოგუა - კომერციული დირექტორი;
6. დავით გალუაშვილი - ოპერაციების დირექტორი;
7. გიორგი სულამანიძე - ციფრული საბანკო საქმიანობის დირექტორი;

ბანკის გენერალური დირექტორს, ნატო ხაინდრავას, 1988 წელს დამთავრებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. საბანკო სექტორში 1982 წლიდან მუშაობს. 2016 წლიდან დღემდე არის სს „ბანკი ქართუს“ გენერალური დირექტორი და სს „ქართუ ჯგუფის“ გენერალური დირექტორი (წარმომადგენლობითი უფლებების გარეშე). 2013-2015 წლებში იყო ბანკის ფინანსური დირექტორი. 2011-2013 წლებში იყოს ბანკის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე. 2003-2011 წლებში იყო სს „ბანკი ქართუს“ შიდა აუდიტის დეპარტამენტის დირექტორი, ფინანსური დეპარტამენტის დირექტორი და გენერალური დირექტორის მოადგილე. 2002-2003 წლებში მუშაობდა საქართველოს ეროვნული ბანკის ბანკების ზედამხედველობის განყოფილების ლიკვიდატორად. 2001-2002 წლებში იყო „თბილკომბანკის“ ლიკვიდაციის კომიტეტის უფროსი ბუღალტერი. 1993-2001 წლებში იყო „სიგმა ბანკის“ უფროსი ბუღალტერი, დირექტორის მოადგილე და ლიკვიდაციის კომიტეტის უფროსი ბუღალტერი. 1988-1993 წლებში იყო ნაძალადევის რეგიონული ცენტრალური შემნახველი ბანკის უფროსი ბუღალტერი. 1987-1988 წლებში იყო შემნახველი ბანკის ნაძალადევის ფილიალის ხელმძღვანელი, 1982-1987 წლებში ამავე ფილიალის უფროსი კონტროლიორი.

გენერალური დირექტორის მოადგილეს, გრიგოლ კაციას, 1998 წელს დამთავრებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. 2000 წელს მიღებული აქვს მაკროეკონომიკის მაგისტრის ხარისხი იმავე უნივერსიტეტში. 2003-2005 წლებში სწავლობდა კორპორატიული საბანკო საქმის მიმართულებით შპარკასეს საბანკო სასწავლებელში. გენერალური დირექტორის მოადგილის პოზიციის დაკავებამდე 2022 წლის აპრილიდან იკავებდა ელექტრონული კომერციის დირექტორის პოზიციას სს „ბანკ ქართუში“. 2021-2022 წლებში ხელმძღვანელობდა შპს „ჯი ენ ერ მენეჯმენტს“ გენერალური დირექტორის რანგში. 2020-2021 წლებში იყო მრჩეველი შპს "სტილ ინთერნატიონალ თრადინგ კომპანიში", ხოლო 2019-2020 წლებში კი შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ ფინანსური დირექტორი. 2018-2019 წლებში იკავებდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის პოზიციას. 2011-2017 წლებში იყო სს „თიბისი ბანკის“ გენერალური დირექტორის მრჩეველი და კორპორატიული დირექტორის მოადგილე. 2009-2011 წლებში იკავებდა სს „ბანკი რესპუბლიკას“ გენერალური დირექტორის მრჩევლის პოზიციას, მანამდე 2009 წელს კი სს „ვითიბი ბანკის“ ვიცე პრეზიდენტი იყო. 2003-2009 წლებში იკავებდა სხვადასხვა პოზიციებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში (EBRD), მათ შორის საკრედიტო დირექტორთა საბჭოს წევრისა და საკრედიტო დირექტორის, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარისა და გენერალური დირექტორის და მთავარი ბანკირის. 1996-2003 წლების სამუშაო გამოცდილება კი სს „ბანკ რესპუბლიკას“ უკავშირდება, სადაც სხვადასხვა დროს იყო საოპერაციო და საკრედიტო ოფიცერი, ასევე საკრედიტო დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

ფინანსურ დირექტორს, გივი ლებანიძეს, 2007 წელს დამთავრებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, სპეციალობით ეკონომიკური კიბერნეტიკა, კვალიფიკაცია ეკონომისტ-მათემატიკოსი. 2019 წელს მიიღო მაგისტრის ხარისხი ფინანსებში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. 2016 წლიდან დღემდე არის სს "ბანკი ქართუს" ფინანსური დირექტორი, ამასთან 2018 წლიდან იკავებს სს „დაზღვევის კომპანია ქართუს" ფინანსური დირექტორის პოზიციას. 2013-2016 წლებში იყო ჯერ რისკების მართვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე/ფინანსური რისკების მართვის განყოფილების უფროსი, ხოლო შემდეგ რისკების მართვის დეპარტამენტის დირექტორი. 2010-2013 წლებში იყო ბანკის საინვესტიციო განყოფილების უფროსი. 2009-2010 წლებში ბანკის კორპორატიული ბანკირი, ხოლო 2007-2009 წლებში მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების საკრედიტო ექსპერტი. 2012-2014 წლებში იყო სს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და მოგვიანებით სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

რისკების დირექტორ, ბექა კვარაცხელიას, 1996 წელს დამთავრებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, სპეციალობით საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. 2013 წლიდან დღემდე არის სს „ბანკი ქართუს" რისკების დირექტორი. 2009-2013 წლებში იყო რისკების მართვის დეპარტამენტის დირექტორი, ხოლო 2006-2009 წლებში რისკების მართვის განყოფილების უფროსი. 2004-2006 წლებში იყო ბანკის საკრედიტო დეპრტამენტის დირექტორის მოადგილე/კორპორატიული ბიზნესის დაკრედიტების განყოფილების უფროსი. 2001-2004 წლებში იყო ბანკის უფროსი საკრედიტო ოფიცერი. 1997-2001 წლებში იყო კრედიტ ოფიცერი.

კომერციულ დირექტორს, ზურაბ გოგუას, 1994 წელს დამთავრებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. 1998 წელს დაამთავრა საქ. ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკ. სოც. პრობლემების ინსტიტუტის ასპირანტურა. 2013 წლიდან დღემდე არის „სს ბანკი ქართუს" კომერციული დირექტორი. 2004-2013 წლებში იყო ბანკის საკრედიტო დეპარტამენტის დირექტორი. 2002-2004 წლებში იყო ბანკის საკრედიტო განყოფილების უფროსი. 2000-2002 წლებში საკრედიტო განყოფილების უფროსის მოადგილე. 1998-2000 წლებში ხელმძღვანელობდა ბანკის მონიტორინგისა და ანალიზის განყოფილებას. 1997-1998 წლებში იყო სს „ბანკი ქართუს" საკრედიტო ოფიცერი, 1997 წელს ბანკის ეკონომისტი. 1995-1997 წლებში იყო მარკეტინგული კვლევის ცენტრის მენეჯერი.

ოპერაციების დირექტორს, დავით გალუაშვილს, 1995 წელს დამთავრებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. 2013 წლიდან დღემდე არის სს „ბანკი ქართუს" ოპერაციების დირექტორი. 2011-2013 წლებში იყო ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე. 1997-2011 წლებში იყო სს „ბანკი ქართუს" მთავარი ბუღალტერის პირველი მოადგილე, უფროსი ბუღალტერი, კონტროლის ჯგუფის უფროსი და ბუღალტერი. 1995-1997 წლებში იყო სს „საქართველოს ბანკის" ფრონტ დესკ ოფიცერი. 1994-1995 წლებში იყო კომერციულ ბანკ „ნარიყალას" საერთაშორისო გადარიცხვების განყოფილების უფროსი.

ციფრული საბანკო საქმიანობის დირექტორს, გიორგი სულამანიძეს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მიღებული აქვს ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკასა და მანქანათმშენებლობის მართვაში, მაგისტრის ხარისხი ეკონომიკაში და დოქტორის ხარისხი საბანკო საქმეში. 2022 წლის სექტემბრიდან იკავებს სს ბანკი ქართუს ციფრული საბანკო საქმიანობის დირექტორის პოზიციას. 2022 წლის თებერვლიდან სექტემბრამდე იყო სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯიას გენერალური დირექტორი, მანამდე 2020 წლიდან იმავე კომპანიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი, 2018 წლიდან

2020 წლამდე კი საოპერაციო დირექტორი. 2014-2018 წლებში იკავებდა შპს KAPI-ის ბიზნესის სტრატეგიული განვითარების დირექტორის თანამდებობას. 2013-2014 წლებში IT გადაწყვეტილებების პროვაიდერი კომპანია ასსეკო საქართველოს საბანკო სერვისების დირექტორის პოზიციაზე მუშაობდა. 2008-2013 წლებში იყო ბანკი რესპუბლიკა სოსიეტე ჯენერალის ცენტრალური ბექ-ოფისის სამსახურის უფროსი, 2005-2008 წლებში კი ამავე ბანკის დისტანციური საბანკო არხების დეპარტამენტისა და პლასტიკური ბარათების დეპარტამენტის უფროსი. 2005-2013 წლებში იყო სს ჯორჯიან ქარდის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 1999-2005 წლებში იკავებდა სხვადასხვა პოზიციებს სს ვი თი ბი ბანკ საქართველოში, მათ შორის პლასტიკური ბარათების დეპარტამენტის დირექტორის, პლასტიკური ბარათების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილისა და პლასტიკური ბარათების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტის.

დირექტორატი ორგანიზებას უწევს და ახორციელებს ბანკის ყოველდღიურ ოპერატიულ საქმიანობას, ამასთანავე არის აქციონერთა კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებების აღმსრულებელი. დირექტორატი პასუხისმგებელია ბანკის ფინანსურ მაჩვენებლებზე. ბანკის დირექტორატის კომპეტენციებს ასევე განეკუთვნება:

- ბანკის გაჯანსაღების გეგმის შემუშავება და დასამტკიცებლად სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენა;
- პერიოდულად, ბანკის სასესხო აქტივების პორტფელის ESG რისკიანობის განხილვა/შეფასება;

კენჭისყრის დროს, ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გენერალური დირექტორის ხმა გადამწყვეტია. ამასთანავე, დირექტორები ერთპიროვნულად წარმოადგენენ ბანკს მესამე პირებთან ურთიერთობაში.

2022 წლის განმავლობაში დირექტორატმა იმსჯელა და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:

კომერციული ბანკის გაჯანსაღების გეგმის შემუშავებისა და შეფასების შესახებ წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 29 ივნისის #131/04 ბრძანების შესაბამისად, ბანკმა შეიმუშავა გაჯანსაღების გეგმა, რომელიც წარედგინა სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად.

ბანკმა დაიწყო USD Libor-ის განაკვეთის გამოქვეყნების შეწყვეტასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება, მათ შორის დაიწყო სამუშაოები The Secured Overnight Financing Rate-ის მიღებასა და აქტივების მართვაში გამოყენებასთან დაკავშირებით.

ბანკი აქტიურად განაგრძობს საკორესპონდენტო ქსელის დივერსიფიკაციასა და ეფექტურ მართვას, შესაბამისად, წლის განმავლობაში დირექტორატმა იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება რიგი საკორესპონდენტო ანგარიშების დამატებით გახსნისა და მართვის შესახებ.

ბანკი ქართუ
CARTU BANK

შემდეგ სქემაზე მოცემულია ინფორმაცია ბანკის დირექტორების საკურატორო მიმართულებების შესახებ.



## 9.3: აუდიტის კომიტეტი

აუდიტის კომიტეტი წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებულ საკონსულტაციო-სათათბირო ორგანოს, რომლის გადაწყვეტილებასაც სამეთვალყურეო საბჭოსთვის აქვს სარეკომენდაციო ხასიათი. კომიტეტის ძირითადი ფუნქცია შიდა აუდიტისა და ბანკის გარე აუდიტორების ფუნქციონირების ხელშეწყობაა.

აუდიტის კომიტეტის მიზანს სამეთვალყურეო საბჭოს საზედამხედველო ფუნქციების განხორციელებაში მხარდაჭერა და შემდეგ საკითხებზე სწორი ინფორმირება წარმოადგენს:

- ბანკის ფინანსური ანგარიშგების სისრულე და საიმედოობა;
- შიდა აუდიტის დეპარტამენტის გამართული ფუნქციონირება;
- გარე აუდიტორის დამოუკიდებლობა და კვალიფიკაცია, აგრეთვე მის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხი, მოცულობა და მომსახურების ანაზღაურება;
- ბანკის შიდა კონტროლის სიტემისა და რისკების მართვის საიმედოობა და ეფექტურობა;
- გარე აუდიტორის მიერ მომზადებული სარეკომენდაციო წერილის განხილვა და დირექტორების მიერ არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნის შესაბამისი ზომების გატარების მონიტორინგი;

აუდიტის კომიტეტი ზეპირი ან წერილობითი რეკომენდაციით მიმართავს სამეთვალყურეო საბჭოს, სადაც წარმოდგენილი აქვს საკუთარი ხედვა ზედამხედველობის ფორმების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. წლის ბოლოს კი წარადგენს ანგარიშს გაწეულ სამუშაოსთან დაკავშირებით.

აუდიტის კომიტეტი შედგება სამი წევრისგან, მათ შორის ორი დამოუკიდებელი. ისინი არ არიან ბანკთან დაკავშირებული პირები, ამასთანავე მათ ან მათთან დაკავშირებულ იმ პირებს, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, კანონისმიერ მემკვიდრეთა წრიდან I და II რიგში ირიცხებიან, არ აქვთ ბანკის მიმართ ფინანსური ვალდებულება. არცერთი წევრი არ არის სხვა კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა ან დირექტორატის წევრი. სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც ირჩევს კომიტეტის წევრებს, შერჩევის ეტაპზე დიდ ყურადღებას უთმობს განათლებისა და გამოცდილების შესაბამისობას, ასევე დამოუკიდებლობის ხარისხის შესაბამისობას შიდა სტანდარტთან.

კომიტეტის სხდომები ტარდება მინიმუმ კვარტალში ერთხელ, ხოლო საგანგებო შემთხვევებში ტარდება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, კომიტეტის თავმჯდომარის, ან კომიტეტის ორი წევრის მოთხოვნით. ასევე, საჭიროების შემთხვევაში შიდა აუდიტის დეპარტამენტის დირექტორის მოთხოვნით.

კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 სექტემბრის #215/04 ბრძანების შესაბამისად, აუდიტის კომიტეტი ყოველწლიურად განიხილავს და აფასებს გარე აუდიტორთა დამოუკიდებლობას. 2022 წლის აუდიტის დასკვნის მომზადებისთვის ბანკს აუდიტორულ მომსახურებას უწევს „დიდი ოთხეულის“ წევრი შპს „იუაი“, რომლის დამოუკიდებლობის საკითხიც დადებითად შეფასდა. გარე აუდიტორების მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ბანკის 2022 წლის აუდიტორულ ანგარიშგებაში.

კომიტეტის საქმიანობას არეგულირებს სამეთვალყურეო საბჭოს 2021 წელს დამტკიცებული/განახლებული აუდიტის კომიტეტის დებულება.

### 9.4: რისკების კომიტეტი

რისკების კომიტეტი წარმოადგენს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შექმნილ რისკების მართვის კოლეგიალურ ორგანოს. რისკების კომიტეტის საქმიანობა ხორციელდება ბანკის სტრატეგიის და რისკის აპეტიტის დოკუმენტის შესაბამისად. ის ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას, ბანკის წესდებას და შიდა ნორმატივებს, ასევე რისკის მართვის პროცესში არსებულ საერთაშორისო პრაქტიკას.

რისკების კომიტეტის ფუნქციებს წარმოადგენს:

- რისკის სტრატეგიების განხილვა როგორც აგრეგირებული, ისე ინდივიდუალური რისკის ჭრილში და შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება სამეთვალყურეო საბჭოსთვის ყოველკვარტალურად წერილობითი სახით, მათ შორის, ბანკის მიმდინარე და მომავალ რისკის აპეტიტზე;
- მომზადება და სამეთვალყურეო საბჭოსთვის ანგარიშგების წარდგენა ბანკში არსებული რისკის კულტურის შესახებ და ბანკის სხვადასხვა რისკის პოლიტიკების განხილვა, სულ მცირე, ყოველწლიურად;
- რისკების დირექტორის საქმიანობის მონიტორინგი და მასთან თანამშრომლობა;
- კაპიტალისა და ლიკვიდობის მართვის სტრატეგიების და ასევე ყველა სახის რისკის, როგორებიცაა საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო და რეპუტაციული რისკები, მონიტორინგი, იმისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი რისკის აპეტიტთან შესაბამისობა;
- ბანკის სხვადასხვა რისკის პროფილზე მოქმედი შესაძლო სცენარების, მათ შორის სტრეს სცენარების განხილვა;
- პილარ 3-ის ანგარიშგების, მათ შორის, ESG საკითხების ანგარიშგების განხილვა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა;
- ბანკის გაჯანსაღების გეგმის განხილვა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა;

რისკების კომიტეტი შედგება სამი სრულუფლებიანი წევრისგან, მათ შორის ორი სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრია. ისინი არ არიან ბანკთან დაკავშირებული პირები, ამასთანავე მათ ან მათთან დაკავშირებულ იმ პირებს, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, კანონისმიერ მემკვიდრეთა წრიდან I და II  რიგში ირიცხებიან, არ აქვთ ბანკის მიმართ ფინანსური ვალდებულება. არცერთი წევრი არ არის სხვა კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა ან დირექტორატის წევრი. სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც ირჩევს კომიტეტის წევრებს, შერჩევის ეტაპზე დიდ ყურადღებას უთმობს განათლებისა და გამოცდილების შესაბამისობას, ასევე დამოუკიდებლობის ხარისხის შესაბამისობას შიდა სტანდარტთან.

რისკების კომიტეტს ხელმძღვანელობს საბჭოს დამოუკიდებელი წევრი.

კომიტეტის სხდომები ტარდება მინიმუმ კვარტალში ერთხელ, ხოლო ბანკის რისკის ტიპის, მოთხოვნების და განვითარების შესაბამისად შესაძლებელია რიგგარეშე სხდომის/სხდომების მოწვევაც.

კომიტეტის საქმიანობას არეგულირებს სამეთვალყურეო საბჭოს 2021 წელს დამტკიცებული რისკების კომიტეტის დებულება.

## 9.5: საკრედიტო კომიტეტი

კომიტეტი წარმოადგენს საკრედიტო საქმიანობის მართვის სფეროში ბანკის უმაღლეს კოლეგიალურ ორგანოს. კომიტეტს გააჩნია ბანკის წესდების საფუძველზე სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სრულად მინიჭებული უფლებამოსილებები საკრედიტო საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებასა და მართვაზე. კომიტეტის საქმიანობა სრულად ეფუძნება ბანკის წესდებას, საკრედიტო პოლიტიკას, დამტკიცებულ შიდა ნორმატივებსა და დაკრედიტების პროცესში გამოყენებულ საერთაშორისო სტანდარტებს.

კომიტეტის პირდაპირ ფუნქციებს განეკუთვნება ყველა ტიპის საკრედიტო განაცხადის განხილვა და საბოლოო გადაწყვეტილებების მიღება სესხის დამტკიცების ან უარყოფის შესახებ, კონკრეტულ სესხებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო პარამეტრების, მათ შორის სესხის ლიმიტის, ვალუტის, ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთების, განსაზღვრისა და ცვლილებების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, სესხების რესტრუქტურიზაცია, პროლონგაცია, სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის კორექტირება და კლიენტებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება.

კომიტეტის შემადგენლობას შესაბამისი უფლებამოსილებებით, განსაზღვრავს და ამტკიცებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო. კომიტეტი შედგება შემდეგი სრულუფლებიანი მუდმივი წევრისაგან:

- გენერალური დირექტორი (კომიტეტის თავმჯდომარე);
- რისკების დირექტორი;
- ფინანსური დირექტორი;
- ოპერაციების დირექტორი;
- კომერციული დირექტორი;
- გენერალური დირექტორის მოადგილე;
- საკრედიტო დეპარტამენტის დირექტორი;
- იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი.

კომიტეტის წევრი არ შეიძლება იყოს ბანკის არათანამშრომელი პირი, ბანკის შიდა აუდიტისა ან რომელიმე მაკონტროლებელი ორგანოს თანამშრომელი ან სხვა პირი, რომლის კომიტეტში შეყვანითაც ჩნდება ამა თუ იმ ფორმით ინტერესთა კონფლიქტი მისი მდგომაროების გამო.

კომიტეტის სხდომები იმართება ყოველკვირეულად. დღის წესრიგსა და განსახილველ საკითხებს განსაზღვრავს კომიტეტის თავმჯდომარე.

კომიტეტი ანგარიშვალდებულია ბანკის დირექტორატის წინაშე. დირექტორატი, როგორც წესი, კვარტალში ერთხელ მოისმენს კომიტეტის ანგარიშს კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ.

## 9.6: მცირე საკრედიტო კომიტეტი

საკრედიტო კომიტეტის მსგავსად, მცირე საკრედიტო კომიტეტი წარმოადგენს საკრედიტო საქმიანობის მართვის სფეროში ბანკის კოლეგიალურ ორგანოს, თუმცა მოქმედება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ, შეზღუდულ ფარგლებში შეუძლია.

კომიტეტის შემადგენლობასა და შესაბამისი უფლებამოსილებებით დელეგირებულ პირებს განსაზღვრავს და ამტკიცებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო. კომიტეტი შედგება 3 სრულუფლებიანი წევრისაგან, კომერციული დირექტორი, რისკების დირექტორი და საკრედიტო დეპარტამენტის დირექტორი.

კომიტეტზე განსახილველად შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას ნებისმიერი განაცხადი, რომელიც არ ეწინააღმდეგება ბანკის საკრედიტო პოლიტიკას, ამასთანავე ბიზნეს ჯგუფის მთლიანი დავალიანება დამტკიცებული ან მოთხოვნილი სესხის თანხის დამატებით არ აღემატება 300,000 აშშ დოლარს ან ექვივალენტს სხვა ვალუტაში.

კომიტეტზე ასევე აკრძალულია საბლანკო სესხის, ბანკის ინსაიდერი პირის განაცხადის, სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს განაცხადის განხილვა. ასევე ბანკის მიერ სტანდარტულ კლასიფიცირებულ სესხებზე გამოსაყენებელ მინიმალურ საპროცენტო განაკვეთზე ნაკლების საპროცენტო განაკვეთის დაწესება, 6 თვეზე მეტი ვადით საშეღავათო პერიოდის დაწესება სარგებლის გადახდასა და 12 თვეზე მეტი ვადით საშეღავათო პერიოდის დაწესება ძირითად თანხაზე.

მცირე საკრედიტო კომიტეტი ანგარიშვალდებულია საკრედიტო კომიტეტის მიმართ. საკრედიტო კომიტეტი კვარტალში ერთხელ მოისმენს კომიტეტის ანგარიშს გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ.

### 9.7: აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი

აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი წარმოადგენს კოლეგიალურ ორგანოს, რომლის ძირითადი მიზანია ბანკის აქტივ-პასივების ეფექტური მართვის საფუძველზე შეინარჩუნოს და აამაღლოს ბანკის საფინანსო ხარისხობრივი მაჩვენებლები.

კომიტეტის საქმიანობის ძირითად ამოცანას აქტივ-პასივების მართვის პოლიტიკის ბანკის სტრატეგიასთან და სხვა პოლიტიკებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, ეფექტური მართვის საფუძველზე ბანკში მობილიზებული რესურსების ოპერატიული მართვის პროცესის ხელშეწყობა, ვალდებულებათა და განთავსებათა სასურველი მოცულობებისა და პარამეტრების განსაზღვრა, ვალდებულებათა და განთავსებათა მართვისთვის აუცილებელი მეთოდოლოგიების და მოდელების შერჩევა/დამტკიცება და მარეგულირებელი ორგანოს მიერ დაწესებული ეკონომიკური ნორმატივების დაცვის მიზნით პოლიტიკის შემუშავება და აღსრულების მონიტორინგი წარმოადგენს.

კომიტეტის შემადგენლობას ამტკიცებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო. აქტივ-პასივების კომიტეტი შედგება შვილი სრულუფლებიანი წევრისგან, ესენი არიან:

- გენერალური დირექტორი;
- ფინანსური დირექტორი;
- რისკების დირექტორი;
- კომერციული დირექტორი;
- ოპერაციების დირექტორი;
- გენერალური დირექტორის მოადგილე;
- ხაზინის დეპარტამენტის დირექტორი;
- ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტის დირექტორი;

აქტივ-პასივების კომიტეტის სხდომა მოიწვევა თავმჯდომარის სახელით საჭიროებისამებრ. აღნიშნული კომიტეტის მუშაობა რეგულირდება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს 2022 წლის სექტემბერში დამტკიცებული აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის დებულებით.

### 9.8: ბიზნეს პროცესების მართვის კომიტეტი

ბიზნეს პროცესების მართვის კომიტეტის პირდაპირ ფუნქციებს წარმოადგენს ახალი/არსებული/ოპტიმიზირებული ბიზნეს-პროცესების ბლოკ–სქემებისა და საჭიროების შემთხვევაში მისი დამხმარე დოკუმენტების (განაცხადები, ტექნიკური დავალებები და ა.შ) განხილვა და დამტკიცება;

კომიტეტის შემადგენლობას ირჩევს და ამტკიცებს ბანკის დირექტორატი. კომიტეტი შედგება შვიდი სრულუფლებიანი წევრისაგან:

- ოპერაციების დირექტორი - თავმჯდომარე;
- საოპერაციო რისკების მართვის განყოფილების უფროსი;
- ხარისხის მართვის განყოფილების უფროსი;
- კომერციული ქსელის მართვის დეპარტამენტის დირექტორი;
- ცენტრალიზებული ადმინისტრირების დეპარტამენტის დირექტორი;
- ბიზნესის განვითარების დეპარტამენტის დირექტორი;
- იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი;

კომიტეტის წევრი არ შეიძლება იყოს ბანკის არათანამშრომელი პიროვნება, ბანკის შიდა აუდიტისა და/ან რომელიმე მაკონტროლებელი ორგანოს თანამშრომელი, სხვა პირი, რომლის კომიტეტში შეყვანითაც ჩნდება ამა თუ იმ ფორმით ინტერესთა კონფლიქტი მისი მდგომარეობის გამო.

კომიტეტის სხდომა მოიწვევა თავმჯდომარის სახელით, საჭიროებიდან გამომდინარე. კომიტეტის მდივნის ფუნქციას ასრულებს შესაბამისობისა და მეთოდოლოგიის განყოფილების უფროსი. კომიტეტზე საკითხის წარმომდგენია შესაბამისობისა და მეთოდოლოგიის განყოფილება.

კომიტეტი ანგარიშვალდებულია ბანკის დირექტორატის წინაშე და კვარტალში ერთხელ წარადგენს შესაბამის ანგარიშს, რომელიც ასახავს კომიტეტის მუშაობასა და შედეგებს.

აღნიშნული კომიტეტის მუშაობა რეგულირდება ბანკის დირექტორატის 2018 წლის 9 ნოემბრის სხდომის ოქმით.

## 10. რისკების მართვა

### 10.1: კორპორატიული სტრატეგია

ბანკი ქართუს სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია კორპორატიული და მცირე და საშუალო კლიენტების დაკრედიტება. ბანკი საშუალოვადიან პერსპექტივაში გეგმავს არსებული პროფილის შენარჩუნებას და მცირე და საშუალო კლიენტების წილის ზრდას მთლიან საკრედიტო პორტფელში.

ბანკისათვის, საშუალოვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვანია აქტივების ხარისხის გაუმჯობესება, რაც თავისთავად გულისხმობს: დასაკუთრებული ქონებების წილის შემცირებას აქტივებში, უმოქმედო სესხების წილის შემცირებას მთლიან საკრედიტო პორტფელში, საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგების შენარჩუნებასა ან გაუმჯობესებას, საკრედიტო პორტფელის დივერსიფიკაციას დარგების ჭრილში.

გრძელვადიან პერსპექტივაში ბანკი გეგმავს მოზიდული სახსრების სტრუქტურის ცვლილებას, კერძოდ შედარებით მოკლევადიანი რესურსის ჩანაცვლებას უფრო გრძელვადიანი რესურსით და დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირებას.

### 10.2: რისკების მართვის ჩარჩო

სს „ბანკი ქართუს“ ბიზნეს მოდელი შემუშავებულია ისე, რომ ბანკმა მუდმივად შეინარჩუნოს კაპიტალიზაციის საშუალოზე მაღალი დონე და რესურსები გადანაწილებული ქონდეს ისეთ აქტივებსა და სექტორებზე, რომლითაც მიაღწევს მდგრად და დაბალანსებულ ზრდას.

ის ძირითადი რისკები, რომელსაც ბანკი ქართუ იღებს სტრატეგიული მიზნების განხორციელებისას დაჯგუფებულია შემდეგნაირად: საკრედიტო, ლიკვიდობის, საბაზრო, საოპერაციო და სხვა არაფინანსური რისკები.

ბანკის რისკების მართვის მიზნებს წარმოადგენს:

- რისკის აპეტიტის განსაზღვრა, რომლითაც მოხდება რისკი/მომგებიანობის ოპტიმიზაცია, კაპიტალის მუდმივად ადეკვატურ დონეზე შენარჩუნებასთან ერთად;
- ლიკვიდობის ისეთ პრუდენციულ დონეზე შენარჩუნება და მართვა, რომლითაც ბანკი მოახდენს მოკლევადიანი ვალდებულებების შესრულებას სტრესული მდგომარეობის დროსაც;
- ადეკვატური და ეფექტური კონტროლის მექანიზმების ქონა;
- სრულ შესაბამისობაში ყოფნა იმ კანონებსა და რეგულაციებთან, რომლებიც უკავშირდება ბანკის ბიზნეს საქმიანობას.

ძირითადი პრინციპები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეფექტური რისკების მართვის სტრატეგიას არის:

- ბანკში დაცვის მძლავრი მეორე ხაზის (LOD 2) არსებობა;
- ბანკის ბიზნეს სტრატეგიით განსაზღვრული ძირითადი პრინციპების და იმ რისკის დონის შესაბამისობა, რომლის აღებაც ბანკს სურს და შეუძლია (რისკის აპეტიტი);
- იმის უზრუნველყოფა, რომ ბიზნეს საქმიანობის განვითარებასთან დაკავშირებული რისკები არის სწორად იდენტიფიცირებული, გაზომილი და დოკუმენტირებული;
- სათანადო კონტროლის მექანიზმების მუშაობის უზრუნველყოფა.

შემდეგ დიაგრამაზე მოცემულია ბანკის რისკების მართვის სტრუქტურა:


სამეთვალყურეო საბჭო
აუდიტის კომიტეტი / აუდიტის დეპარტამენტი
რისკების კომიტეტი
რისკის აპეტიტის განსაზღვრა
დაცვის მესამე ხაზი (LOD 3)
დირექტორატი
აქტივ-პასივების მართვის და საკრედიტო კომიტეტები
ბიზნეს სტრატეგიის განხორციელება და რისკის აპეტიტთან შესაბამისობის უზრუნველყოფა
რისკების დირექტორი
რისკების მართვის დეპარტამენტი
ფინანსური რისკების მართვის განყოფილება
საკრედიტო პორტფელის მონიტორინგის განყოფილება
აქტივების შეფასების განყოფილება
საოპერაციო რისკების მართვის განყოფილება
საბაზრო რისკები
ლიკვიდობის რისკები
საკრედიტო რისკი
უზრუნველყოფების და დასაკუთრებული ქონებების ღირებულების სიზუსტის რისკი
საოპერაციო რისკი
სხვა არაფინანსური რისკები
რისკების დამოუკიდებელი ზედამხედველობა და დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის რისკის პროფილის ანგარიშების და რეკომენდაციების წარდგენა
დაცვის მეორე ხაზი (LOD 2)

### რისკის აპეტიტი

სამეთვალყურეო საბჭო იხილავს და ამტკიცებს რისკის აპეტიტს, რომელიც ხელს უწყობს ბანკის გრძელვადიან, მდგრად ზრდას და აბალანსებს გრძელვადიან მომგებიანობას პრუდენციული რისკების მართვასთან. რისკის აპეტიტი გამოიხატება რაოდენობრივი მაჩვენებლებით. ბანკი რისკის აპეტიტს იყენებს იმ რისკის დონეების განსასაზღვრად, რომლებიც შეუძლია და სურს აიღოს ბიზნეს საქმიანობის განსახორციელებლად.

### კაპიტალის დაგეგმვა

სამეთვალყურეო საბჭო აფასებს კაპიტალის მოთხოვნებს, რომელიც აუცილებელია როგორც ბიზნეს გეგმის მხარდასაჭერად, ისე სტრესული გარემოებების დასაძლევად.

### ლიკვიდობის დაგეგმვა

დირექტორატი ზედმიწევნით აფასებს ლიკვიდობის იმ დონეს, რომელიც ბანკს სჭირდება როგორც ბიზნეს გეგმის მხარდასაჭერად, ისე სტრესული გარემოებების დასაძლევად. 1 თვემდე, 3-დან 6 თვემდე, და 6-დან 12 თვემდე ლიკვიდობის პროგნოზირება ხაზინისა და რისკების მართვის დეპარტამენტის მიერ ხდება ყოველთვიურად და წარედგინება დირექტორატს.

### რისკის მართვის მოდელი ბანკის დონეზე

რისკების სამართავად ბანკი იყენებს მართვის 3 ხაზიან მოდელს. მოდელი გამოიყენება ვალდებულებების და პასუხისმგებლობების გასამიჯნად, რათა მიღწეული იყოს მთლიანი რისკების ეფექტური მართვა, რომელიც ხელს უწყობს ბანკის შიდა კონტროლის ჩარჩოს გაძლიერებას.

დაცვის სამ ხაზიანი მიდგომა აცალკევებს მფლობელობა/რისკის მართვას იმ ფუნქციებისგან, რომლებიც ახდენენ რისკების ზედამხედველობას და ასევე იმ ფუნქციებისგან, რომელიც ახდენენ დამოუკიდებელ აუდიტს.

- **დაცვის პირველი ხაზი (LOD 1)** - ბანკის სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც ფლობენ და მართავენ რისკს. აღნიშნული ხაზი მოიცავს ბიზნეს და საოპერაციო ერთეულებს. განყოფილების უფროსები და დეპარტამენტის დირექტორები, როგორც რისკის მფლობელები და კონტროლის მფლობელები არიან საბოლოოდ პასუხისმგებელი ყველა იმ რისკსა და კონტროლზე, რომელიც ვარდება მათი პასუხისმგებლობის არეალში.
- **დაცვის მეორე ხაზი (LOD 2)** - სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც ახდენენ რისკების იდენტიფიცირებასა და ზედამხედველობას. რისკის მართვის პროცესი, რომლებიც არსებობს მძლავრი დაცვის მეორე ხაზის ფუნქციონირებისთვის, მოიცავს:

    - რისკის კონტროლის შეფასებას;
    - სცენარების ანალიზს;
    - საკრედიტო პორტფელის ხარისხის აქტიურ მართვას;
    - ძირითადი რისკის ინდიკატორებს / ადრეულ სტადიაზე გამაფრთხილებელ ნიშნებს;
    - ბანკში არსებული სხვადასხვა მოდელების მართვას
    - ახალ პროდუქტებსა და სერვისებს
    - შიდა კონტროლის შეფასება/ტესტირებას
    - ძირითადი რისკების მართვის პოლიტიკებისა და პროცედურების მუდმივ მონიტორინგს
    - საოპერაციო რისკების შემთხვევების რეპორტინგს
    - და სხვას
- **დაცვის მესამე ხაზი (LOD 3)** - ერთეულები, რომლებიც ახდენენ:

- რისკის აპეტიტის განსაზღვრას;
- დამოუკიდებელ აუდიტს;
- პროცესების და ძირითადი მაჩვენებლების დამოუკიდებელ კონტროლს;

### რისკების გაზომვის და მონიტორინგის სისტემები

მთავარი პრინციპები რისკების ეფექტურად გაზომვისა და მონიტორინგისთვის არის:

- რისკის პოზიციების გაზომვა მოსალოდნელი დანაკარგების მოდელირების გზით, რისკის ინდიკატორები და სცენარების ანალიზი მთლიანად ბანკის დონეზე;
- უმაღლესი მენეჯმენტის მიერ რისკების სიმძიმის გათვიცნობიერების ხელშეწყობა;
- სამეთვალყურეო საბჭოსთვის და დირექტორატისთვის რისკის პროფილის ანგარიშების მიწოდება რისკის ინდიკატორებთან და მიტიგაციის საშუალებებთან ერთად, რათა მათ მიერ მოხდეს რისკის აპეტიტის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში გადახედვა;
- აღებული რისკების სათანადო აღრიცხვის წარმოება.

ყოველკვარტალური რისკის პროფილის ანგარიშები, რომლებიც მიეწოდება დირექტორატს და სამეთვალყურეო საბჭოს მოიცავს:

- საკრედიტო რისკის პროფილის ანალიზს;
- ლიკვიდობის რისკის პროფილის ანალიზს;
- სავალუტო რისკის პროფილის ანალიზს;
- საპროცენტო განაკვეთის რისკის პროფილის ანალიზს;
- საოპერაციო რისკის პროფილის ანალიზს.

### სტანდარტიზირებული მიდგომა

ბანკი საზედამხედველო მიზნებისათვის რისკის პოზიციების გაანგარიშებისას იყენებს მხოლოდ „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების“ მიხედვით განსაზღვრულ სტანდარტიზებულ მიდგომას (რომელიც შესაბამისობაშია „საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის“ კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოსთან).

### სტრეს-ტესტები

ბანკი ატარებს სხვადასხვა სტრეს ტესტებს და ახდენს სხვადასხვა პარამეტრების საპროგნოზო სცენარების გაანალიზებას. აღნიშნული ბანკს საშუალებას აძლევს შეაფასოს/გაზომოს არამხოლოდ მიმდინარე ეტაპზე იდენტიფიცირებული რისკები, არამედ მოვლენების სტრესული სიტუაციის განვითარების შემთხვევაში წარმოშობილი ახალი შესაძლო რისკები.

ბანკი, ბიზნესის წარმოებისას, დგება გარკვეული რისკების წინაშე. ბანკის ძირითადი რისკის კატეგორიები მოცემულია ქვემოთ:

- **საკრედიტო რისკი** - საკრედიტო რისკი არის კონტრაგენტი პარტნიორის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით ან გაკოტრებით გამოწვეული რისკი. საკრედიტო რისკი ბანკს შეიძლება წარმოეშვას თავის კლიენტებთან სხვადასხვა საქმიანობით, როგორიცაა კრედიტების გაცემა, სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობა, ვაჭრობის დაფინანსება და სხვა. საკრედიტო რისკებისა და მისი შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ბანკის 2022 წლის აუდიტის ყოველწლიურ ანგარიშში.
- **საბაზრო რისკი** - რისკი, როდესაც ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების, გაცვლითი კურსის აქციების ან/და საერთაშორისო ბირჟებზე ვაჭრობადი სასაქონლო ფასების ცვლილება ცვლის ბანკის წმინდა აქტივების ოდენობას, რომელიც წარმოშობს ზარალს. საზედამხედველო მიზნებისათვის, ბანკი საბაზრო რისკის კალკულაციას ახდენს კრებსითი ღია სავალუტო

პოზიციის მიხედვით, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 29.9 მილიონ ლარს. საბაზრო რისკების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ბანკის 2022 წლის აუდიტის ყოველწლიურ ანგარიშში.

- **ლიკვიდობის რისკი** - ლიკვიდობის რისკი არის ბანკის რისკი, ვერ მოახდინოს ვალდებულებების გასტუმრება დათქმულ ვადაში, ან გაისტუმროს აქტივების მნიშვნელოვანი დისკონტირების გზით, რაც შეამცირებს ბანკის კაპიტალს. ლიკვიდურობის მართვა ძირითადად ხორციელდება მაკონტროლებელი ორგანოს მიერ დაწესებული ლიმიტებით, ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტისა (LCR) და საშუალო ლიკვიდურობის დაცვის მექანიზმებით.
- **უზრუნველყოფების და დასაკუთრებული ქონებების ღირებულების სიზუსტის რისკი** - უზრუნველყოფების და დასაკუთრებული ქონებების ღირებულების სიზუსტის რისკი არის:
  - სესხების უზრუნველსაყოფად დატვირთული/დაგირავებული ქონებების არასწორად შეფასების შედეგად მოსალოდნელი დანაკარგების არაზუსტად განსაზღვრის რისკი, რამაც შესაძლოა გავლენა მოხდინოს მსესხებლის დაკრედიტების გადაწყვეტილებებზე;
  - სესხების დასაფარად დასაკუთრებული უზრუნველყოფების საბაზრო ღირებულების არაზუსტად განსაზღვრის რისკი, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ქონების რეალიზაციის გადაწყვეტილელებზე.

  აღნიშნული რისკის სამართვად ზემოთაღნიშნული აქტივების საბაზრო ღირებულება ფასდება IVS-მიხედით, როგორც ბანკის შიდა, ისე გარე შემფასებლების მიერ, ხოლო მსხვილ ქონებებზე აქტივების შეფასების მონიტორინგის განოფილების მიერ ხდება შეფასების მიმოხილვის ანგარიშების მომზადება, შეფასების დასკვნის IVS-სთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
- **საოპერაციო რისკი** - საოპერაციო რისკი არის ზარალის რისკი, რომელსაც სხვა ფაქტორებთან ერთად, იწვევს შიდა პროცესების არაადეკვატურობა, პერსონალის ქმედებები, სისტემის მოშლა ან გარე ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბანკის მუშაობაზე. საზედამხედველო მიზნებისათვის, ბანკი საოპერაციო რისკის კალკულაციას ახდენს ძირითადი ინდიკატორების მეთოდის მიხედვით.
- **სხვა არაფინანსური რისკები** - ბანკი თავისი საქმიანობის შედეგად შესაძლოა დადგეს იმ პოტენციური რისკების წინაშე, როგორიცაა რეპუტაციის, იურიდიული, სტრატეგიული, შესაბამისობის და სხვა რისკები. რადგან აღნიშნული რისკები მიმდინარე ეტაპზე ბანკისთვის წარმოადგენენ არაკვანტიფიცირებად რისკებს და მათი მართვა ხორციელდება შესაბამისი პოლიტიკების ფარგლებში, ბანკი აღნიშნული რისკებისთვის მიმდინარე ეტაპზე, დამატებითი კაპიტალის დაცვას არ საჭიროებს.

### 10.3: საკრედიტო რისკების მართვა

საკრედიტო რისკი არის კონტრაგენტი პარტნიორის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით ან გაკოტრებით გამოწვეული რისკი. საკრედიტო რისკი ბანკს შეიძლება წარმოეშვას თავის კლიენტებთან სხვადასხვა საქმიანობით, როგორიცაა კრედიტების გაცემა, სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობა, ვაჭრობის დაფინანსება და სხვა .

საკრედიტო რისკის მართვა იწყება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოდან, რომელიც განსაზღვრავს საკრედიტო რისკის აპეტიტს და საკრედიტო რისკის მართვის ზოგად ჩარჩოს. აღნიშნული ჩარჩოთი გათვალისწინებული მოთხოვნების იმპლემენტაციას ახდენს დირექტორატი. საკრედიტო რისკის მართვასთან დაკავშირებით ბანკის რისკების კომიტეტს აქვს შემდეგი პასუხისმგებლობები:

- განსაზღვროს ბანკის რისკის ტოლერანტობა საკრედიტო რისკთან მიმართებით;

- უზრუნველყოს ბანკში საკრედიტო რისკის იდენტიფიცირების, გაზომვის, მონიტორინგისა და კონტროლის ფუნდამენტური პრინციპების დანერგვა;
- დაადგინოს ბანკის ლიმიტები საკრედიტო პოზიციებსა და კონცენტრაციებზე;
- პერიოდულად  განიხილოს ბანკის საკრედიტო პორტფელი და მისი რისკიანობა;
- პერიოდულად მიიღოს ანგარიში ბანკში საკრედიტო რისკის მართვასთან დაკავშირებით;
- უზრუნველყოს საკრედიტო რისკის ამღები მმართველი განყოფილებები, საკრედიტო დეპარტამენტი და ფინანსური რისკების მართვის განყოფილება, შესაბამისი კვალიფიციური საკადრო და ტექნიკური რესურსით.

საკრედიტო რისკის პოლიტიკის პირველი ელემენტი არის რისკის იმ დონის განსაზღვრა, რომელიც ბანკს შეუძლია აიღოს. საკრედიტო რისკის ტოლერანტობა უნდა იქნას განსაზღვრული ბანკის კაპიტალის ოდენობის, და ზოგადი რისკის აპეტიტის გათვალისწინებით.

### საკრედიტო რისკის შეფასება

ბანკში საკრედიტო რისკების ეფექტურად მართვისთვის არსებობს სესხების შიდა სარეიტინგო სისტემა და დარეზერვების (სესხების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების განსაზღვრის) მეთოდოლოგია, IFRS-ის მიზნებისათვის.

### საკრედიტო რისკების მონიტორინგი

საკრედიტო რისკების მონიტორინგი ძირითადად ხორციელდება საკრედიტო პორტფელის მონიტორინგის განყოფილების მიერ, რომელიც წარმოადგენს რისკების მართვის დეპარტამენტში შემავალ განყოფილებას. აღნიშნული განყოფილება ახორციელებს ნახევარწლიურად, ყოველკვარტალურად ან/და ყოველთვიურად (დამოკიდებულია ბიზნესის სპეციფიკაზე, დავალიანების სიდიდესა და მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესებაზე) ბანკის მსხვილი მსესხებელი კომპანიების ფინანსურ ანალიზს და მონიტორინგის დასკვნების მომზადებას შესაბამისი რეკომენდაციებით.

### უზრუნველყოფა

ბანკი როგორც იურიდიული, ისე საცალო კლიენტების მიმართ საკრედიტო რისკების მიტიგაციის საშუალებად აქტიურად იყენებს უზრუნველყოფის სახით იპოთეკით დატვირთულ/დაგირავებულ უძრავ და მოძრავ ქონებას. უძრავი და მოძრავი ქონებები არ გაითვალისწინება რისკის მიტიგანტად საზედამხედველო მიზნებისათვის საკრედიტო რისკების მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციის გაანგარიშებისას. უზრუნველყოფის რისკების შეფასებისას ხდება უზრუნველყოფის ღირებულების, საგნის, ლიკვიდობის და აღსრულებადობის შეფასება. უზრუნველყოფა ასევე ჯგუფდება დაფინანსებულ ბიზნესთან კორელაციის კუთხით. უზრუნველყოფის სახით წარმოდგენილი აქტივები, რომელთა ღირებულება მაღალ კორელაციაშია დაფინანსებული ბიზნესის ფინანსურ შედეგებთან სესხის გაცემის განხილვისას LGD-ის კალკულაციისას ანგარიშდება უფრო მაღალი დროითი დისკონტით. ინფორმაცია სესხების შესახებ, უზრუნველყოფების ტიპების ჭრილში მოცემულია 2022 წლის აუდიტის ყოველწლიურ ანგარიშში.

ბანკს ყავს უზრუნველყოფის შეფასების და მართვის სტრუქტურული ერთეული, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების შებამისად ახდენს უზრუნველყოფაში მისაღები/მიღებული ქონებების შეფასება/გადაფასებას. ზოგიერთ შემთხვევაში ბანკი მიმართავს გარე საშემფასებლო კომპანიებს/ფიზიკურ პირებს. როგორც ცალკეული აქტივების შეფასების სიზუსტის, ისე მთლიანი შეფასების პროცესის ხარისხის მართვის კუთხით, რისკების მართვის დეპარტამენტში შექმნილია აქტივების შეფასების მონიტორინგის განყოფილება.

### საკრედიტო შეფასების გარე ინსტიტუტები

ბანკი, საკრედიტო შეფასების გარე ინსტიტუტების შეფასებებს იყენებს მხოლოდ საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების კალკულაციისას კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების დათვლის და არასასესხო ფინანსურ ინსტრუმენტებზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვის კალკულაციის მიზნებისთვის.

ბანკი ითვალისწინებს Standard&Poor's-ის, Moody's-ის, Fitch-ისა და Scope Ratings-ის რეიტინგებს.

### 10.4: საპროცენტო რისკის მართვა

საპროცენტო რისკის მართვა იწყება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოდან, რომელიც განსაზღვრავს საპროცენტო რისკის აპეტიტს და საპროცენტო რისკის მართვის ზოგად ჩარჩოს. აღნიშნული ჩარჩოთი გათვალისწინებული მოთხოვნების იმპლემენტაციას ახდენს დირექტორატი. საპროცენტო რისკის მართვასთან დაკავშირებით ბანკის რისკების კომიტეტს აქვს შემდეგი პასუხისმგებლობები:

- განსაზღვროს ბანკის რისკის ტოლერანტობა საპროცენტო რისკთან მიმართებაში;
- უზრუნველყოს ბანკში საპროცენტო რისკის იდენტიფიცირების, გაზომვის, მონიტორინგის და კონტროლის ფუნდამენტური პრინციპების დანერგვა;
- პერიოდულად განიხილოს ბანკის ფიქსირებული შემოსავლის მქონე საინვესტიციო და სავაჭრო პორტფელის შედეგები და განიხილოს საბაზრო რისკის სტრატეგია;
- პერიოდულად მიიღოს ანგარიში ბანკში საპროცენტო რისკის მართვასთან დაკავშირებით;
- უზრუნველყოს საპროცენტო რისკის ამღები და მმართველი სტრუქტურული ერთეულები შესაბამისი კვალიფიციური საკადრო და ტექნიკური რესურსით.

საპროცენტო რისკის პოლიტიკის პირველი ელემენტი არის რისკის იმ დონის განსაზღვრა, რომელიც ბანკს შეუძლია აიღოს. საპროცენტო რისკის ტოლერანტობა და აპეტიტი განისაზღვრება ბანკის კაპიტალის ოდენობის, და ზოგადად რისკის აპეტიტის გათვალისწინებით.

საპროცენტო რისკის ერთერთი მთავარი მხარეა საპროცენტო შემოსავლის მომტანი აქტივების და საპროცენტო ხარჯის მქონე ვალდებულებების სხვადასხვა ვადიანობის გამო საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით წარმოქმნილი რისკი. აღნიშნული რისკის გასაზომად ბანკი იყენებს "გადაფასების გეპის" მეთოდს, რომელიც ერთნაირ ვადიანი აქტივებს და ვალდებულებებს ადარებს ერთმანეთს თანხების მიხედვით. დანაკარგის მიღების შესაძლებელობა არის იმ შემთხვევაში, თუ ბანკს აქვს თანხობრივი გეპი ერთნაირი ვადის მქონე საპოცენტო შემოსავლის მომტან აქტივებსა და საპროცენტო ხარჯის მქონე ვალდებულებებს შორის და ბაზარზე იცვლება განაკვეთი.

ბანკი ასევე ახდენს თითოეული ტიპის საპროცენტო ინსტრუმენტზე შესაბამისი ფასდადების მოდელების აწყობას, სადაც გაითვალისწინება საპროცენტო განაკვეთის ფორმირებაში მონაწილე პარამეტრები და მათი მაჩვენებლები.

### 10.5: სავალუტო რისკის მართვა

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული ბანკის უცხოურ ვალუტაში ფორმირებული წმინდა აქტივების გაუფასურების რისკი, რომელიც ამცირებს ბანკის კაპიტალს.

სავალუტო რისკის მართვა იწყება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოდან, რომელიც განსაზღვრავს სავალუტო რისკის აპეტიტს და სავალუტო რისკის მართვის ზოგად ჩარჩოს. აღნიშნული ჩარჩოთი გათვალისწინებული მოთხოვნების იმპლემენტაციას ახდენს დირექტორატი. სავალუტო რისკის მართვასთან დაკავშირებით ბანკის რისკების კომიტეტს აქვს შემდეგი პასუხისმგებლობები:

- განსაზღვროს ბანკის რისკის ტოლერანტობა სავალუტო რისკთან მიმართებაში;
- უზრუნველყოს ბანკში სავალუტო რისკის იდენტიფიცირების, გაზომვის, მონიტორინგისა და კონტროლის ფუნდამენტური პრინციპების დანერგვა;
- დაადგინოს ბანკის ლიმიტები ღია სავალუტო პოზიციაზე სხვადასხვა ვალუტების მიხედვით;
- პერიოდულად  განიხილოს ბანკის სავალუტო პოზიციები როგორც ლიკვიდურ სახსრებში, ასევე გრძელვადიან საკრედიტო დაბანდებებში;
- პერიოდულად მიიღოს ბანკის ანგარიში ბანკში სავალუტო რისკის მართვასთან დაკავშირებით;

სავალუტო რისკების სამართავად ბანკში წესდება შემდეგი ძირითადი ლიმიტი: ყველა უცხოური ვალუტის მიხედვით ბანკის  საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტი, როგორც საბალანსო და გარესაბალანსო ისე კრებსითი სავალუტო პოზიციების მიხედვით, არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 20%-ს.

### 10.6: ლიკვიდობის რისკის მართვა

ლიკვიდობის რისკი არის ბანკის რისკი, რომ ვერ მოახდინოს ვალდებულებების გასტუმრება დათქმულ ვადაში ან გაისტუმროს აქტივების მნიშვნელოვანი დისკონტირების გზით. ლიკვიდობის რისკის მართვა იწყება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოდან, რომელიც განსაზღვრავს ლიკვიდობის რისკის აპეტიტს და ლიკვიდობის რისკის მართვის ზოგად ჩარჩოს. აღნიშნული ჩარჩოთი გათვალისწინებული მოთხოვნების იმპლემენტაციას ახდენს დირექტორატი.

ბანკში ლიკვიდობის მართვა ძირითადად ხორციელდება მაკონტროლებელი ორგანოს მიერ დაწესებული ლიკვიდობის გადაფარვის (LCR) და წმინდა სტაბილური დაფინანსების (NSFR) კოეფიციენტების დაცვით და აქტიური მონიტორინგით. ბანკში სისტემატიურად ხორციელდება ფულადი ნაკადების დინების პროგნოზი მსხვილი შემოდინებების და გადინებების ინდივიდუალური შეფასების და ვალდებულებების და ლიკვიდური სახსრების სტატისტიკურ ანალიზზე დაყრდნობით.

ლიკვიდობის რისკის სამართავად რისკების მართვის დეპარტამენტის ფინანსური რისკების მართვის განყოფილება და ხაზინის დეპარტამენტის აქტივ-პასივების მართვის განყოფილება ითვალისწინებს ზოგად ეკონომიკურ და საბაზრო მდგომარეობას და მათ შესაძლო ეფექტს ბანკის მიერ აღებულ ლიკვიდობის პოზიციებზე, დაფინანსების სხვადასხვა წყაროების და მათ შესახებ ხელმისაწვდომი ინფორმაციის შეფასების საფუძველზე.

### 10.6: საოპერაციო რისკის მართვა

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც გამოწვეულია გაუმართავი ან ჩავარდნილი შიდა პროცესებით, ადამიანური რესურსებით და სისტემებით, ან გარე ფაქტორებით.

საოპერაციო რისკის მართვა იწყება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოდან, რომელიც განსაზღვრავს საოპერაციო რისკის აპეტიტს და საოპერაციო რისკის მართვის ზოგად ჩარჩოს. აღნიშნული ჩარჩოთი გათვალისწინებული მოთხოვნების იმპლემენტაციას ახდენს დირექტორატი.

საოპერაციო რისკი ჩნდება ბანკის ყოველდღიური საქმიანობიდან გამომდინარე და დაკავშირებულია ბიზნესის ნებისმიერ მიმართულებასთან. ბანკი იდენტიფიცირებას უკეთებს, აფასებს  და მართავს საოპერაციო რისკებს შემდეგი პროცესების და ინსტრუმენტების მეშვეობით:

- **საოპერაციო რისკის მოვლენების აღრიცხვა** - ეს არის საოპერაციო რისკით გამოწვეული დანაკარგების, ჩავარდნილი პროცესების და სხვა არა ფულადი სახით მომხდარი მოვლენების აღრიცხვა და ანგარიშგება. ეს მოვლენები ფიქსირდება და რეგისტრირდება ცენტრალიზებულად და ანალიზირდება რისკების პრო-აქტიური  მართვისთვის  ძირითადი მიზეზების ანალიზის მეშვეობით.
- **სცენარების ანალიზი** - ეს პროცესი მიზნად ისახავს მაღალი ზემოქმედების, მცირე ალბათობის, მაგრამ რეალისტური მოვლენების იდენტიფიცირებას, რომელთაც შეუძლიათ ზეგავლენა იქონიონ ბანკზე, ასევე აფასებს შესაბამის ალბათობას და სიხშირეს ძირითადი რისკ კატეგორიების მიხედვით, რათა ბანკმა ადეკვატურად შეძლოს, შეაფასოს არა მხოლოდ არსებული რისკები, არამედ ის რისკებიც, რომლის წინაშეც შეიძლება აღმოჩნდეს ბანკი. ანალიზი ფოკუსირდება მაღალი ზემოქმედების, მაგრამ დაბალი ალბათობის შემთხვევებზე;
- **რისკისა და კონტროლის შეფასება (RCA)** - ეს პროცესი მიზანმიმართულია ბანკში არსებული და მოსალოდნელი რისკების შესაფასებლად ბანკში არსებული ბიზნეს პროცესების ანალიზის გზით. იგი აფასებს ბანკის ძირითადი რისკ კატეგორიებისთვის არსებულ თანდაყოლილ რისკებს, კონტროლის ეფექტიანობას და ნარჩენ რისკებს, რომლებსაც შეუძლიათ უარყოფითი ასახვა იქონიონ სტრატეგიული მიზნების მიღწევაზე. ამ გზით ბანკი უზრუნველყოფს, შესაბამისი კონტროლის მექანიზმებისა და/ან აღდგენითი გეგმების არსებობას რათა შეარბილოს რისკისა და ზარალის ზემოქმედება.
- **რისკის მიღება** - დაცვის პირველი ხაზი და შესაბამისი დეპარტამენტების დირექტორები ახორციელებენ რისკების იდენტიფიცირებას, რისკის საკითხების და კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებების დაფიქსირებას. გარკვეულ შემთხვევებში, რისკის მიტიგაცია არ არის შესაძლებელი, ან შესაძლებელია ითხოვდეს აღდგენის ხანგრძლივ პერიოდს. ამ სიტუაციებში რისკი უნდა იყოს მიღებული. ეს პროცესი მხარს უჭერს აღნიშნულ საჭიროებას და აღწერს რისკის მიღების მიდგომას - საკითხის წამოწევას, მიღებას, მონიტორინგსა და ანგარიშგებას.
- **ახალი რისკის დამტკიცება (NRA)** - ეს პროცესი უზრუნველყოფს საოპერაციო რისკის წყაროს შეფასებას ნებისმიერი სიახლისა თუ  მნიშვნელოვანი ცვლილების დამტკიცებამდე და დანერგვამდე, რაც მხარს უჭერს ბანკის არსებული საოპერაციო რისკის პროფილის კონტროლს რისკ აპეტიტთან მიმართებაში.

ზემოაღნიშნული პროცესების შედეგების ანალიზი სრულდება იმ მიზნით, რომ წარმოდგენა შეიქმნას ბანკში არსებული საოპერაციო რისკების პროფილის შესახებ ბანკის რისკის აპეტიტთან მიმართებაში. ანალიზის შედეგად ხორცილდება საოპერაციო რისკების მიტიგაცია ან მიღება (საჭიროების შემთხვევაში) რათა შემდგომში გათვალისწინებულ იქნას ბანკის ბიზნეს საქმიანობაში და სტრატეგიაში.

საოპერაციო რისკის მართვის ჩარჩოს ფარგლები, ტექნოლოგიური სიახლეებიდან გამომდინარე, მუდმივად ფართოვდება და ახლდება.

## 11. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) რისკების მართვა

ბანკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მდგრადი დაფინანსების როლს ეკონომიკური განვითარების, ზრდის, სიღარიბის შემცირებისთვისა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობისთვის. მდგრადი დაფინანსების გამორჩეულ შემადგენელს წარმოადგენს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი რისკების იდენტიფიცირება და მართვა, როგორც ბანკის, ასევე სასესხო აქტივების დონეზე.

ბანკი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი რისკების იდენტიფიკაციისა და მართვისთვის იყენებს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების შესაბამის შეფასების პროცედურებს, მეთოდებსა და მიდგომებს.

ბანკს გააჩნია გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი რისკების იდენტიფიკაციის, შეფასებისა და მართვისთვის განკუთვნილი განსაზღვრული პროცედურები.

ბანკი საკუთარი ბიზნეს სტრატეგიისა და განვითარების გეგმის შემუშავებისას ითვალისწინებს გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებს, ვინაიდან  დაკავშირებული რისკების არაეფექტურად მართვამ შესაძლოა გამოიწვიოს რიგი ფინანსური, იურიდიული და რეპუტაციული პრობლემები.

ESG რისკების მართვას ბანკი ახორციელებს ორი მიმართულებით, პირველი უკავშირდება თავად ბანკის მიერ შესაძლო ზემოქმედების შეფასებას, მეორე ნაწილი კი სასესხო აქტივების პორტფელის გავლენასა და რისკიანობის ანალიზს. საკუთარი ESG რისკების მართვისას, ბანკი ყურადღება აქცევს შემდეგ საკითხებს:

- სათბურის გაზების ემისიის შემცირება - ამ მიზნით ადგილობრივ ოფისებში გათბობა-გაგრილების სისტემების შეძენისას უპირატესობას ანიჭებს თანამედროვე ეკომეგობრულ სისტემებს;
- ძირითადი სატრანსპორტო საშუალებების შერჩევა - უპირატესობას ანიჭებს ჰიბრიდული ძრავის მქონე ავტომობილებს ან/და ელექტრომობილებს;
- მესამე მხარეებთან ურთიერთობა - მნიშვნელოვან როლს ანიჭებს მესამე მხარეების მიდგომებს გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ და უპირატესობას გარემოზე ნაკლები ზემოქმედების მქონე მხარეებს ანიჭებს;
- პოლიტიკა/პროცედურები - ბანკი გეგმიურად ნერგავს ნარჩენების მართვის შემცირების, გადამუშავების, სეპარირებისა და მეორადად გამოყენების პოლიტიკებს, ასევე უზრუნველყოფს ნარჩენი მაკულატურის შეგროვებასა და შესაბამისი გადამამუშავებელი პუნქტებისთვის მიწოდებას;
- ნარჩენების შემცირება - თანამედროვე ტექნოლოგიების მხარდაჭერით ბანკი უზრუნველყოფს მატერიალური დოკუმენტების გამოყენების შემცირებას;
- სოციალური აქტივობები - ბანკი აქტიურად უჭერს მხარს გარემოსდაცვით აქტივობებს და ერთვება სოციალური ხასიათის მქონე კამპანიებში მწვანე საფარის აღდგენის მიზნით;

ბანკის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასების ნაწილში, უზრუნველყოფს საანგარიშო წლისთვის სათბურის გაზების მთლიანი ემისიის გაანგარიშებას. აღნიშნული მოიცავს სამ კატეგორიას - Scope 1, Scope 2 და Scope 3.

- Scope 1 - მოიცავს ინფორმაციას საბანკო ჯგუფის მიერ, სხვადასხვა მიზნობრიობით გამოყენებული საწვავისა და სატრანსპორტო საშუალებების შესახებ;
- Scope 2 - გულისხმობს საბანკო ჯგუფის მიერ სხვადასხვა მიზნობრიობით გამოყენებული ენერგო რესურსების ტიპებისა და რაოდენობის შესახებ ინფორმაციას;
- Scope 3 - შეიცავს ისეთი მიმართულებების შეფასებას, როგორიცაა გამოყენებული რესურსების ხარჯები, ბიზნეს მიზნობრიობის მივლინებები (როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო) და სხვა საოფისე დანახარჯები.

სათბურის გაზების ემისიის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ბანკის 2022 წლის ESG საკითხების ანგარიშგებისა და გამჟღავნების ანგარიშში.

სოციალური რისკების მართვის ნაწილში, ბანკის უმაღლესი მენეჯმენტი უზრუნველყოფს სამართლიან მოპყრობას, თანაბარი შესაძლებლობებისა და არადისკრიმინაციული მიდგომების დანერგვას ყველა დასაქმებულისთვის. ამასთანავე, დიდ დროს უთმობს უსაფთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნას. ბანკის სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი ხელს უწყობენ თანამშრომლების პროფესიული განვითარების ტრენინგებს, სემინარებსა და საგანმანათლებლო აქტივობებს, რაც თანამშრომლებთან გრძელვადიანი მდგრადი ურთიერთობის წინაპირობაა.

მმართველობითი რისკების ნაწილში, ბანკისთვის გამჭვირვალობა პრიორიტეტულია. ამასთანავე ESG რისკების მართვის საკითხი თანაბრად განიხილება როგორც დირექტორატის, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე. ბანკის სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს ESG რისკების მართვის პოლიტიკას და ჩართულია მის სრულყოფილ აღსრულებაში. ბანკს ყავს ESG საკითხებზე პასუხისმგებელი ოფიცერი, რომელიც შესაბამის საკითხებზე პასუხისმგებელ უმაღლესი მენეჯმენტის წარმომადგენელთან ერთად უზრუნველყოფს სასესხო აქტივების მონიტორინგის ჩატარებას.

ბანკი ყოველწლიურად დადგენილი წესით პილარ 3-ის ფარგლებში ამჟღავნებს ინფორმაციას ESG საკითხებთან დაკავშირებით, ამასთანავე, ინფორმაცია თავსდება ბანკის ვებ-გვერდზე. დამატებით ინფორმაცია აისახება პარტნიორებისთვის განკუთვნილ პერიოდულ ანგარიშგებებში. ამასთანავე, ESG პოლიტიკის დანერგვის პარალელურად და ბანკის მიზნიდან გამომდინარე, უწყობს ხელს ცნობადობის ამაღლებას, კლიენტებს განაცხადის გაკეთებისას და სასესხო ურთიერთობის მთელი პერიოდის განმავლობაში, მიეწოდებათ ინფორმაცია ESG რისკების დამუშავების შესახებ.

რაც შეეხება სასესხო აქტივების დონეზე ESG რისკების მართვას, ბანკი აფასებს როგორც სასესხო განაცხადს განხილვისას, ასევე არსებულ პორტფელს უტარებს ESG მონიტორინგს. ბანკს გააჩნია დაფინანსების აკრძალული საქმიანობების სია.

ESG რისკების შეფასება ხდება ყველა ბიზნეს სასესხო აქტივის შემთხვევაში სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად. ESG რისკიანობის შეფასება არის საკრედიტო საკითხის განხილვის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი, რომელიც წარედგინება საკრედიტო კომიტეტს გადაწყვეტილების მისაღებად. ESG რისკების განხილვა და გათვალისწინება იკავებს თანაბარმნიშვნელოვან ადგილს სხვა მნიშვნელოვან მახასიათებლებთან ერთად.

შეფასებისას, ბანკი იყენებს შიდა მოდელს, რომელიც ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებასა და პრაქტიკას. ბიზნეს სასესხო აქტივების ESG რისკიანობის შეფასებისას პირველ რიგში ხდება შემდეგი კომპონენტების განსაზღვრა:

- სესხის ტიპი;
- სესხის ვადიანობა;
- საქმიანობის ინდუსტრია;
- საქმიანობის კატეგორია;
- საქმიანობის ქვეკატეგორია;

აღნიშნულის გათვალისწინებით, ბანკი სესხს ანიჭებს ESG რისკიანობის ხარისხს და განუსაზღვრავს ორ შეფასებას, საქმიანობის ინდუსტრიის შესაბამის რისკიანობის ხარისხსა და სხვა ყველა კომპონენტის გათვალისწინებით, ზოგადი რისკის შეფასებას.

დაბალი რისკიანობის შემთხვევაში, ბანკი ამოწმებს შესაბამისობას ადგილობრივ კანონმდებლობასთან. საშუალო და მაღალი რისკიანობის კატეგორიის შემთხვევაში, ბანკი უზრუნველყოფს სასესხო აქტივის რისკიანობის პროფილის შეფასებას შემდეგი პარამეტრების მიხედვით:

- ორგანიზაციული შესაძლებლობები და კომპეტენციები;
- დაკავშირებული მხარეების სურვილი და ჩართულობის ხარისხი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი რისკების იდენტიფიკაციასა და მართვაში;
- გარე კომუნიკაციის, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესაბამისი მექანიზმები;

ბანკმა სასესხო აქტივების გარემოსდაცვითი კუთხით შეფასებისთვის დანერგა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია, რომლის მიხედვითაც მოხდა მწვანე სესხების კლასიფიკაციის განსაზღვრა. აღნიშნული ცვლილება პორტფელის შესახებ მონაცემებს უფრო გამჭვირვალესა და ბაზრის სხვა მოთამაშეებთან მარტივად შედარებადს ხდის.

ბანკის მხრიდან მდგრადი დაფინანსების ხელშეწყობა ემსახურება გარემოზე ზემოქმედების შემცირებას, რესურსების ეფექტურ გამოყენებას, არასაჭირო ხარჯების შემცირებას, ინოვაციური სერვისებისა და პროდუქტების მიწოდებას, რომელთა წარმოებითა და გამოყენებით ნაკლების ზიანი მიადგება გარემოსა და საზოგადოებას. ბანკის სამომავლო პრიორიტეტს საერთაშორისო განვითარების ინსტიტუტებთან მდგრადი განვითარების მიმართულებით მუშაობა წარმოადგენს.

## 12. მნიშვნელოვანი სიახლეები

კომერციული ბანკის გაჯანსაღების გეგმის შემუშავებისა და შეფასების შესახებ წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 29 ივნისის ბრძანება #131/04-ის შესაბამისად, ბანკმა 2022 წლის განმავლობაში შეიმუშავა და დაამტკიცა გაჯანსაღების გეგმა. დეტალურად გაიწერა ბანკის გაჯანსაღების გეგმის ინდიკატორები, გეგმის სტრატეგიული ანალიზი, გაჯანსაღების ზომები. ჩატარდა სტრესსცენარები, რომელთა შედეგების გაზიარება მოხდა საქართველოს ეროვნული ბანკისთვის.

2022 წელს არსებული საზედამხედველო ანგარიშგებების პარალელურად ფასს სტანდარტებით ანგარიშგების ყოველთვიურად წარდგენის მიზნით, ბანკმა უზრუნველყო შიდა პროცედურების, საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურისა და ანგარიშგებების წარმოების წესების დახვეწა.

ბანკის VISA პლასტიკური ბარათების მფლობელებისთვის დაინერგა ახალი პროდუქტი, Apple Pay გადახდის სერვისი, რომელიც უზრუნველყოფს ვიზა ბარათების მობილური ტელეფონის Apple Pay საფულეში გააქტიურებას და მათ გამოყენებას ნებისმიერი სავაჭრო და მომსახურების ობიექტის POS ტერმინალებზე.

2022 წლიდან ბანკის ყველა მომხმარებელს საშუალება აქვს ბანკის ინტერნეტ ბანკის საშუალებით მიიღონ გაუმჯობესებული პირობები უცხოური ვალუტის კონვერტირებისას და დამოუკიდებლად აწარმოონ ოპერაციები საშეღავათო პირობებით.

## 13. ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებიდან ანაზღაურებას ყველა წევრი იღებს. ინფორმაცია 2022 წელს გადახდილი ანაზღაურების შესახებ ასახულია პილარ 3-ის წლიური ანგარიშგების დანართის 24.Rem1 გვერდზე მოცემულ ცხრილში.

დირექტორატის წევრების ანაზღაურებას განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭო. ინფორმაცია 2022 წელს გადახდილი ანაზღაურების შესახებ ასახულია პილარ 3-ის წლიური ანგარიშგების დანართის 24.Rem1 გვერდზე მოცემულ ცხრილში.

სხვა მატერიალური რისკის ამღების პირების იდენტიფიცირებისთვის ბანკს აქვს მოქმედი მატერიალური რისკის ამღებ პირთა იდენტიფიცირების პოლიტიკა/ინსტრუქცია, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 სექტემბრის 215/04 ბრძანებით დამტკიცებულ კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსს, საქართველოს ეროვნული ბანკის მატერიალური რისკის ამღებ პირთა იდენტიფიცირების ინსტრუქციასა და European Banking Authority (EBA)-ის მიერ შემუშავებულ მარეგულირებელ ტექნიკურ სტანდარტს მატერიალური რისკის ამღებ პირთა იდენტიფიცირების შესახებ. ბანკის სხვა მატერიალური რისკის ამღების პირების რაოდენობისა და მათთვის გადახდილი ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია ასახულია პილარ 3-ის წლიური ანგარიშგების დანართის 24.Rem1 გვერდზე მოცემულ ცხრილში.

ბანკის ანაზღაურების სისტემაში არ გამოიყენება აქციებთან დაკავშირებული ინსტრუმენტები. ბანკის არც-ერთი თანამშრომლის ანაზღაურებამ საანგარიშო წლის განმავლობაში არ გადააჭარბა 1 მილიონ ლარს.

BCR - Givi Lebanidze

Digitally signed by BCR - Givi Lebanidze
Date: 2023.05.11 11:24:08 +04'00'

BCR - Tamar Tchigladze

Digitally signed by BCR - Tamar Tchigladze
DN: o=JSC CARTU BANK, cn=BCR - Tamar Tchigladze
Date: 2023.05.11 11:13:47 +04'00'